საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 21 იანვარი 1921 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ეღირება 20 მანეთი, განცხადების ფასი ბოლო გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—75, კანტორის 18—62

№ 14 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 14

გულ დათუთქული შვილები გიორგი და ალექსი ჩიხლაძეები რძალი ანეტა მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 22 იანვარს, სოფ. საზხვთოში (გურია) დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ჩვენთვის საყვარელი და დაუვიწყარი დედის

ირინეს

სულის მოსახსენიებლად. (208 5—3)

ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს ამხანაგებს, რომ კვირას 23 იანვარს, ქ. ხაშურში ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბიუროში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ორმოცი დღის სიკვდილის შესრულების გამო დაუვიწყარი და საყვარელი ამხანაგის

იოსებ ფილიპეს ძე უაჭეიშვილის

სულის მოსახსენებლათ (225—3—2)

ღრმად დამწუხრებული ძმები: სოლომონ და არშაკ სპირიდონის ძე ლუარსაბოვები და ძმისწული ნინა სოლომონის ასული მელიქ ალამალოვისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას პირველთა დის და უკანასკნელის მამის-დის ძვირფას და დაუვიწყარ

მარიამ სპირიდონის ასულის ახვერდოვისას

პანაშვიდი ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება მიცვალებულისა პლეხანოვის პროსპ., № 182, დილის 10 საათ. პარასკევს, 21 იანვარს, საიდანაც პროცესია გაემართება თონდოევის ეკლესიისაკენ და იქიდან ხოჯევანქის სასაფლაოზე.

218 2—2

სახალხო გვარდიის ძე ანგოე ბათალიონის ოფიცრები და გვარდიელები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულ გარდაცვალებას ამავე ბათალიონის გვარდიელის

სტეფანე არუთინას ძე გევორქოვისა

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (230—3—2)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მარიამ ბეროს ასული, დები ედუკია, მარიამი და ძმები ნიკოლოზი. კონსტანტინე, გრიგოლი, იოსები და მიხეილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ილარიონ (ილიკო) არჩევანის ძის იურაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა პარასკევს, 21 იანვარს ქალაქ ხაშურში.

(232 1—1)

ზარდაცემულნი აქსენტი გიორგის ძე აბესაძე, ქეთევან ფეოდოროვისა, ევგენია აბაშიძისა, შალვა, არჩილი და გიორგი აბესაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფელ სკანდეში გარდაიცვალა პირველის და, მხოლოდ დანარჩენის მამიდა

ევა ივანეს ასული ლოლაძისა

დაკრძალვა პარასკევს, 21 იანვარს, სოფ. სკანდეში.

(232 1—1)

დამწუხრებულნი მეუღლე ნესტორი, შვილები ალექსანდრე, სევერიანე, იასონ, ივლიანე, რძლები: ვერა და მარგალიტა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უძვირფასესი

ელენა ვახტანგის ასული მესხის

გარდაცვალებას, რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია შაბათს, 22 იანვარს, დილის 10 საათზე, სოფელ კულაში.

ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირს
აქვს გახსნილი
სასადილო „ბლან-ნუარ"
პლეხანოვის პროსპ. № 83.
ცხელი საჭმელები
ცივი საუზმეულობა
სასმელები
კავშირის წევრთ ეძლევათ სადილი ვახშამი ოცოც მანეთათ (20 მან.)
(ნ. 7—3) გამგეობა.

საყურადღებოთ
ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა
აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მან გახსნა
ფეხსაცმელების სახელოსნო
(ორბელიანის ქ. ტელეგრაფის ჩიხი № 4 ინვალიდების სახლში) ფასები ძლიერ დაკლებულია. დანაკვეთის დროზე ასრულებისა და საქონლის ხარისხისათვის სრული პასუხისმგებელია კავშირი.
(ნ. 7—3) გამგეობა.

პარასკევს, 27 იანვარს, სახელმწიფო დრამის თეატრში შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ქართველ მსახიობთა კავშირის წევრთა

საგანგებო კრება

გასარჩევია საბჭოს მოქმედება და მიმდინარე საკითხები.

(ნ. 3—1)

სახელმწიფო ოპერა
პარასკევს, 21 იანვარს,
ღალატი
შაბათს, 22 იანვარს, ოპერა მუშებისათვის, კვირას 23 იანვარს ტრავიატა, ორშაბათს 24 იანვარს დუბროვსკი, სამშაბათს, 25 იანვარს აბესალომ და ეთერი.
დასაწყისი 8 საათზე (ნ. 1—1)

სრულიად საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა

„მწყემსი"-ს გამგეობა

აცხადებს, რომ, 1921 წლის თებერვლის 10-ს (ახალი სტილით) ქალ. თფილისში შესდგება წევრთა (რწმუნებულების) საზოგადო კრება.

(215—3—2)

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისთვის
შეერთებულ დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალზე
„ჯეჯილზე და ნაკადულზე"
ორივე ჟურნალის შეერთება და გაფართოებული პროგრამით გამოცემა იკისრა
ერობათა კავშირმა
1. მოზრდილთათვის გამოვა ჟურნალი „ჯეჯილი" თვეში ერთხელ.
2. მცირეწლოვანთათვის გამოვა ჟურნალი „ნაკადული" თვეში ორჯერ.
მისამართი: თფილისი, ერობათა კავშირი, რუსთაველის პრ. № 24, „ჯეჯილი" და „ნაკადული"-ს რედაქცია. სარედაქციო კოლეგია: ქ. ან. წერეთლისა, ქ. ნ. ნაკაშიძისა ბ. 3. საყვარელიძე.
(ნ. 5—2)

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა
აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ მის საკუთარს სახელოსნოში ქ. ბათომში მზადდება
გამბუკის ავეჯეულობა
ლოგინები, სკამები, მაგიდები და სხვა. დაკვეთა შეიძლება ქ. ბათომში, კავშირის განყოფილებაში და ქ. თფილისში, გამგეობის ბინაზე (პლეხან. პრ. № 139).
(ნ. 7—3) გამგეობა.

სახელმწიფო დრამის თეატრი
ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.
შაბათს, იანვრის 22 ს
მეხუთედ
უგვირგვინო მეფენი
კვირას, იანვრის 23-ს
მეოთხედ
ანტიგონე
ხუთშაბათს, იანვრის 27 ს
პირველად
სამშობლო
ლიტანიით
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში.
(ნ. 1—1)

კახური თეთრი ღვინო
ბოთლი 200 მანეთი
სომხის ბაზარი, უგოლნაია ქ. № 3. ჯიგრაშენის ეკლესიის
პირდაპირ
„კულტურა"
(236 2—1)

პროვინციებში სტუდ. დღის მომწყობ

კომისიებს

ვთხოვთ იქონიონ კავშირი ცენტრალურ სტუდ. დღის მომწყობ კომისიასთან. თფილისი, სტუდენტთა სასადილო, სტუდ. დღის მომწყობი კომისია. (235 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი
ხუთშაბათს, იანვრის 27-ს
პირველად ამ სეზონში. პრემიერა!
განახლებისა და შესწორების შემდეგ
სამშობლო
ლიტანიით
ახალი დეკორაციები ვალ. სიდამონ-ერისთავისა მონაწილეობს მთელი დასი 100 თანამშრომელი, ხორო.
რეჟისორი ქ. ანდრონიკაშვილი.
ბილეთები კასაში (ნ. 5—3)

განცხადება

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს, რომ 1921 წ. 31 იანვარს დილის 12 საათზე მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თფილისის გარნიზონისთვის ერთის წლის ვადით ხორცის და ცხიმის ჩაბარების შესახებ. დაწვრილებით ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში (ბარიათინის ქუჩა № 10) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდის. (ნ. 3—3)

საქართველო და საბჭოთა სახელმწიფონი

ჩვენი რესპუბლიკის ურთიერთობა საბჭოთა სახელმწიფოებთან სულ უფრო და უფრო რთულდება. ისე დღე არ გავა, რომ რაიმე მრისხანე და წყრომით სავსე ნოტა არ მოვიდეს რომელიმე მათგანისაგან, მაგრამ რაც უფრო მრავლდება ამ ნოტების რიცხვი, მით უფრო აშკარა ხდება, რომ არავითარი წყრომის საბუთი საბჭოთა რესპუბლიკებს საქართველოს წინააღმდეგ არ მოეპოვებათ, რომ ყველაფერი ის, რასაც ისინი უსაყვედურებენ საქართველოს, წარმოადგენს საჩხუბარი მიზეზების ძებნას და შარის მოდებას. განსაცვიფრებელის მოთმინებით და აუღელვებლობით არღვევს საქართველოს მთავრობა ყოველს აბეზარი მეზობლების მიერ გამოგონილს ჭორს, ყოველს მოდებულს შარს. იმ საპასუხო ნოტებიდან, რომელსაც საქართველოს მთავრობა უგზავნის საბჭოთა სახელმწიფოებს, სრულიად აშკარა ხდება, რამდენათ უსაფუძვლოა ყოველი მათი გამოსვლა, რამდენათ დაუსაბუთებელია ყოველი მათი ნაბიჯი, საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული.

საქართველოს მთავრობის უკანასკნელ საპასუხო ნოტაში მოყვანილია იმისთანა ფაქტები, რომლების გამოქვეყნებაც სრულიად აშკარად ჰყოფს, თუ რა სწადიად საქართველოს მეზობლებს, რა მოტივებით არის ნაკარნახევი ყოველი მათი ნაბიჯი საქართველოს მიმართ. მთავარი მუხლი საბჭოთა სახელმწიფოებისა საქართველოს მიმართ, როგორც ვიცით, ის იყო, რომ საქართველოს მთავრობა აპატიმრებს მისიის წევრებს და თანამშრომელთ. საქართველოს მთავრობის უკანასკნელი ნოტა ცხადჰყოფს, თუ რა „თანამშრომლები" და „წევრები" ჰყოლიათ ჩვენს რესპუბლიკაში გამოგზავნილს მისიებს. ამ უკანასკნელთ ორიგინალურად გაუგიათ თავისი დანიშნულება საქართველოში: მათს მზრუნველობის საგანს ის კი არ შეადგენს, რომ მოაწესრიგოს და მოაგვაროს თავისი სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოსთან (ასეთი დანიშნულება აქვს ყოველი მისიის გაგზავნას სხვა სახელმწიფოში), თავისი დანიშნულება მათ ისე გაუგიათ, რომ საბჭოთა დროშის ქვეშ შეძლება მიეცეთ კომუნისტებს არა ლეგალური მუშაობა გასწიონ საქართველოს დამოუკიდებლობის დასამხობად. კომუნისტები, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ დაპატიმრებულნი და საქართველოდან გაძევებულნი იყვნენ მისი დამოუკიდებლობის დამამხობელი მუშაობისთვის, ყალბი პასპორტებით უკან ბრუნდებიან და „მისიის წევრის" სახელით უნდათ განაგრძონ ისევ ის მუშაობა, რომელშიაც „ხელი შეუშალა" მათ საქართველოს მთავრობამ, გადასახლებული კომუნისტი საჯაია ერთი თვის შემდეგ უკან ბრუნდება „ადერბეიჯანის მისიის პირველი სეკრეტარის ქეთევანაძის" სახელით და ადერბეიჯანის მისიის მფარველობის ქვეშ და საბჭოთა რუსეთის ფულით აწყობს ჩვენში ტერორისტულს ჯგუფს. ამავე მისიის „თანამშრომლები" მეჩიტოვი და მირიტაძე თავის დანიშნულებას იმაში ხედავენ, რომ არა-ლეგალურ აგიტაციას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ. უკანასკნელი, როგორც კომუნისტი, რამოდენჯერმე ყოფილა დაპატიმრებული და, რაკი ვეღარ გაუგრძელებია თავისი მუშაობა, როგორც კომუნისტური პარტიის წევრს მან თავი შეუფარებია აზერბეიჯანის მისიისათვის, ამნაირად მოუნდომებია „შეუვალობის" შეძენა და კომუნისტური აგიტაციის განახლება. მამედ ჰუსეინ მაჭედოვი „ნარკომფინის კოლეგიის წევრის" სახელით ბათომის მხარეში ქართველ მუსულმანობას ამხედრებს საქართველოს წინააღმდეგ და ამ მიზნით ხარჯავს აუარებელს ფულს.

ასეთია საბჭოთა სახელმწიფოების მისიების მოღვაწეობა. ცხადია, რა მიზნები აქვს ამ მისიების ყოფნას საქართველოში. შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ მისიები შეცდომაში ყოფილან შეყვანილნი თავის თანამშრომელთა მიერ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ხსენებული ფაქტები გამოაშკარავებულია, მას შემდეგ, რაც ცხადია, რა „თანამშრომლებთან" და რა „მისიის წევრებთან" გვაქვს საქმე, საბჭოთა რესპუბლიკების მისიები მოვალენი არიან აღიარონ თავისი შეცდომა და ბოდიში მოიხადონ იმ ზიანისთვის,რომელიც მათ თავის შეცდომებით საქართველოს მიაყენეს. საბჭოთა სახელმწიფოების მისიები ასე არ სჩადიან: ისინი, პირიქით, თავის მოვალეობად და მთავარ დანიშნულებათ იმას სთვლიან, რომ საქართველოს მთავრობის ყოველი კომუნისტის დაპატიმრების გამო საპროტესტო ნოტები უგზავნონ და ამით შესაძლებელი გახადონ კომუნისტური მუშაობის გაწევა საქართველოს საზღვრებში. რა ვუყოთ, თუ ეს ეწინააღმდეგება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულს ხელშეკრულებას: ყველამ იცის, თუ რა თვალით უცქერიან შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს საბჭოთა სახელმწიფოების მთავრობანი და საზოგადოთ, კომუნისტები. იქ, სადაც შეიარაღებული ძალით ვერას გახდებიან, ისინი ცდილობენ შეთანხმება მოახდინონ, მისიის ნიღაბ ქვეშ შეგზავნონ შეთანხმებულ სახელმწიფოში თავის აგენტები, აუარებელი ფულის საშუალებით გააჩაღონ მის წინააღმდეგ აგიტაცია და ამ გზით მოახდინონ მისი გადატრიალება და საბჭოთა რუსეთის მიერ დამორჩილება. ცხადი ხდება ისიც, თუ რა აზრი აქვს იმ არსად გაგონილს მრავალ რიცხოვანებას, რომელიც საყოველთაო ყურადღებას იპყრობს საბჭოთა სახელმწიფოების მისიებში.

საქართველოსა და საბჭოთა სახელმწიფოების ურთიერთობა სრულიად გამორკვეული და აშკარაა, არავითარი ნოტები აღარ არის საჭირო: კომუნისტურმა რესპუბლიკებმა მრავალრიცხოვანი მისიებითაც ვერაფერი გააწყეს და ვერ მოახერხეს ჩვენი რესპუბლიკის აფეთქება და დღეს ისინი შარებს ეძებენ საქართველოს მიმართ. ასეთია ის ხანა, რომელშიაც იმყოფება საქართველოს ურთიერთობა საბჭოთა სახელმწიფოებთან.

სოციალიზმი და სახელმწიფო

ჩვენს სინამდვილეში ერთ განსაკუთრებულ მოვლენას აქვს ადგილი. სოციალისტები არა თუ მოექცენ ერს სათავეში, არამედ მათ დაურჩათ აგება სახელმწიფოსი.

ორგან—ორ სახელმწიფოში დგანან ამ პოსტზე სოციალისტები—რუსეთში ბოლშევიკები ჩვენში სოც. დემოკრატები.

რუსეთის აღმშენებლობამ, რომელმაც საბჭოთა სისტემა მოგვცა და მიზნათ დაუყოვნებლივ სოციალიზმის განხორციელება დაისახა, მიზანს ვერ მიაღწია, აშენების ნაცვლათ ნგრევის პროცესი მიიღო.

ჩვენში სოციალდემოკრატიულმა მეთაურებმა სახელმწიფო მოღვაწეობის უახლოეს მიზნათ დემოკრატიული წყობილების შექმნა დაისახეს, რადგან ეს მიაჩნიათ სოციალიზმის საუკეთესო საშვალებათ—და ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავათ განსაცვიფრებელი მძიმე და აუტანელი საგარეო და საშინაო პირობებისა, მიუხედავათ სახელმწიფოებრივი ტრადიციების უქონლობისა, მაინც შესძლეს დიდი გზის გავლა ამ მხრივ, შექმნეს სახელმწიფოებრივი აპარატი, გაამაგრეს პოლიტიკურათ დემოკრატია, ერთი სიტყვით გამოაჩინეს და გამოააშკარავეს შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმუმი ხალხის შემოქმედებითი ენერგიისა.

ბევრს არ მოსწონს ჩვენში ეს შემოქმედება. არას ვიტყვით იმათზე, ვისაც ესა თუ ის წვრილმანი მექანიზმისა არ აკმაყოფილებს. უნაკლო ვინ იქნება. ჩვენ აქ გვინდა უმთავრესი ყურადღება მივაქციოთ იმ პრინციპიალურ დავას, რომელსაც ეწევა ჩვენი ბურჟუაზიული პარტიები საერთო სოციალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენთვის გასაგებია ლენინის გოდება რუსეთის აოხრების გამო და სურვილი უკან დახევისა იმ გზისაკენ, რომელსაც ჩვენ თავიდანვე ვადექით.

ჩვენთვის არა ნაკლებ გასაგებია ისიც რომ სოციალიზმის მოწინააღმდეგენი სხვა ქვეყნებში ცდილობენ ბოლშევიზმი სოციალიზმის მთავარ ღერძათ წარმოიდგინონ და ამით იოლი საშვალება მოიპოვონ მის გასაკრიტიკებლათ და დასასამარებლად. მაგრამ, როცა ამ უსუსურ ბრალდებას იმეორებენ ჩვენში, სადაც ბოლშევიზმის თეორია და პრაქტიკა ასეთი გაბედულობით და სიმტკიცით იქნა უარყოფილი და განდევნილი არა ბურჟუაზიულ მოჩხირკედელეთაგან არამედ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სწორი, მარქსისტული პოლიტიკის წყალობით. ეს ჩვენ ვერაფრით აგვიხსნია, გარდა იმისა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ბურჟუაზია ევროპის თანამოძმეთა წაბაძულობით იმეორებს ადგილსა და უადგილოზე უკანასკნელი ბრალდებებს სოციალისტების წინააღმდეგ.

ასეთ ხალხთან დიდი დავა და პოლემიკა საჭირო არ არის.

თვით პრაქტიკა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და მოღვაწეობისა არღვევს და აბათილებს მათ უსტიბრო რწმენას, რომელიც მხოლოდ მათ უძლურებას ამოწმებს.

გაზ. „საქართველოს", რომელიც განსაკუთრებით დახელოვნებულია სოციალიზმის აუგის თქმაში, თავის ბრძნულ ქადაგებას ამ მოძღვრების წინააღმდეგ ასე ათავებს: „რუსეთის გაკვეთილს გონიერი სოციალისტისთვის ის მნიშვნე-

ლობა უნდა ქონდეს, რომ ასწავლოს სოციალიზმის „მოკვლა“, ხოლო ქვეყნის გადარჩენა. ამ შეგნებამდე გონიერი სოციალისტი ისე უნდა მივიდეს, რომ ლენინსავით იგი ძვირად არ დაუჯდეს! არის ნიშნები, რომ ბოლოს და ბოლოს ყველგან ეს შეგნება გაიმარჯვებს.“ („საქ. № 11)

ვერ გავახალისებთ საქართველოს მესვეურთ ამ დასკვნის და დასტურებით. დღევანდელი ცხოვრება მიუხედავათ ბოლშევიზმის მიერ შექმნილ კრიზისისა მუშათა მოძრაობაში, მაინც ამტკიცებს სულ სხვას, სახელდობრ იმას, რომ სოციალიზმისკენ სწორი მარქსისტული გზის გამონახვა და ამ გზით სიარული აუცილებელი და გადაუვალი მოთხოვნილებაა დაავადებული მსოფლიოს გადასარჩენათ. ასე რომ ქვეყანა გადარჩება არა სოციალიზმის „მოკვლით“, არამედ მისი გაცხოველებით.

ნავთისთვის გაგზავნილი მატარებლების დაკავების გამო

(საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისაგან).

ვინაიდან საქართველოს სამარშრუტო მატარებლები, ორთქლმავალები და ბრიგადები, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ ბაქოში ნავთის პროდუქტების მოსაზიდათ თანახმად 14 ნოემბრის და 5 დეკემბრის შეთანხმებისა, დაკავებულ იქნა რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობათა მიერ ა. ს. ს. რ. ტერიტორიაზე, საქართველოს მთავრობამ რესპუბლიკის ინტერესთა დაცვის მიზნით და თანახმად ურთიერთის მიზღვის პრინციპისა აღწერა და შეკვრა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რ. ს. ფ ს. რ. და ა. ს. ს. რ. ქონება იმ დრომდე, ვიდრე საქართველოს სამარშრუტო მატარებლები, ორთქლმავლები და ბრიგადები საქართველოში არ იქნებიან დაბრუნებული.

(ჩამოსულის ნაამბობიდან)

ჩვენი ბრიგადების მდგომარეობა ბაქოში.

ადერბეიჯანში დაკავებულ სამარშრუტო მატარებლების ბრიგადების მდგომარეობის შესახებ ბაქოდან ჩამოსულმა შემდეგი გვიამბო:

„ადერბეიჯანში ჩვენი სამარშრუტო მატარებლების დაკავების გამო დარჩა საერთოდ 120 კაცამდე სხვადასხვა თანამდებობის პირნი. მათ უარი განაცხადეს ადერბეიჯანის რკინის გზებზე მუშაობაზე. ცხოვრობენ ყველანი ბაქოს სადგურზე (ბაქო-მეორე) მესამე და მეოთხე კლასის ვაგონებში. ეძლევათ გირვანქა ნახევარი პური სულზე და ერთი კერძი საჭმელი. ჰყავთ არჩეული სამი წარმომადგენელი და მათი საშუალებით აქვთ დამოკიდებულება ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელ ს. ხუნდაძესთან. ყველანი კარგად არიან. ჩვენმა წარმომადგენელმა მისცა მათ დახმარება თითოეულს 3,000 მან. იქაურ სიძვირეში ეს ვერაფერს შეადგენს მაგრამ ჩვენს წარმომადგენელს საკმაო თანხა არ აღმოაჩნდა, ამიტომ მან აღძრა ჩვენი მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ დასახმარებელი ფული გაეგზავნათ, რაც ამ ჟამად უკვე შესრულებულია. სამშობლოს გარეშე დარჩენილნი ყველანი სწუხან ოჯახებზე და მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როდესაც მიეცემათ საშუალება სამშობლოსაკენ წამოსვლისა. ეს ცნობები გადმოგვცეს: მილიტონ ცქიფურიშვილმა, ტაბატაძემ და კვირკველიამ, რომელნიც სალამს უგზავნიან ოჯახობას და მეგობრებს“.

საქართველოს მთავრობასთან მყოფ რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სრულუფლებიან წარმომადგენელს

თქვენი, 30 დეკემბრის 1920 წ. № 1075 ნოტის საპასუხოდ, რომელშიაც თქვენ გვაცნობებთ იმ მოტივებს, რომლებმაც გამოიწვიეს რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მხრივ ნავთეულობის ტვირთთა მოძრაობის შეჩერება, მე ჩემი მთავრობის სახელით მაქვს პატივი გაცნობოთ თქვენ, რომ საქართველოსათვის ნავთის პროდუქტების არ მიცემა არ შეიძლება გაისინჯოს სხვანაირათ, თუ არ აშკარა დარღვევათ 1920 წლის 14 ნოემბრის სავაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულებისა. ის მოტივები, რომლებზედაც მითითება თქვენ ინებეთ ნოტაში, როგორც მაიძულებელი მიზეზები, რომლებმაც განსაზღვრეს რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მიერ 14 ნოემბრის ხელშეკრულების დარღვევა და რომლებიც თქვენ მიგაჩნიათ, როგორც სრულიად კანონიერნი ამ ხელშეკრულების ასეთ ცალმხრივათ დარღვევისათვის, ამ უკანასკნელისაგან სრულიად არავითარ დამოკიდებულებაში არ არიან, რადგანაც ის შეიძლება კანონიერად დაირღვეს ერთი მხრის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარის მიერ არ არის დაცული ამ ვალდებულების განსაზღვრული პირობები და არა მიხედვით იმ მოტივებისა, რომლებიც მოყვანილია ერთი მხრის მიერ თავის საკუთარი მიხედულობით და რომლებიც სრულიად არ ეხებიან ამ ვალდებულებას. ასეთ უცხოს და 14 ნოემბრის ხელშეკრულებასთან არავითარ დამოკიდებულებაში არ მყოფ მოტივებს წარმოადგენენ თქვენს 30 დეკემბრის ნოტაში მოყვანილი მოსაზრებები, რომლებზედაც ჩვენ თავის დროზე მოგეცით თქვენ განმარტება 1920 წ. 15 დეკემბრის № 10890 ნოტაში. მაგრამ მე მზათა ვარ კვლავ მოგცეთ თქვენ ყველა ამ საკითხებზე საბოლოო განმარტება:

საქართველოს ნავთსადგურებში 15 ნოემბრისათვის ძველ ან ახალ რუსეთის დროშების ქვეშ მოსულ გემების შესახებ საკითხის აღძვრის პირველ მომენტიდანვე საქართველოს მთავრობა უწევდა ყოველგვარ დახმარებას რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლებს, რომ მათ განეხორციელებინათ თავისი კანონიერი მოთხოვნილებანი ამ გემების შესახებ. თქვენი მითითება იმაზე, რომ საქართველოს მთავრობამ არ მისცა თავის რწმუნებულს შერეულ კომისიაში 16 დეკემბრის შეთანხმების ფაქტიური რეალიზაციის უფლება და ამით შექმნა დაბრკოლებანი საკითხის საბოლოოთ ლიკვიდაციის საქმეში, ჩვენ მიერ არ შეიძლება სხვანაირად გაისინჯოს, თუ არ გაუგებრობა. 18 დეკემბრის № 11022 ნოტით ჩვენ გაცნობეთ თქვენ, რომ ინჟინერ ანდრონიკაშვილს ჰქონდა საქართველოს მთავრობის მიერ რწმუნებანი „16 დეკემბრის ხელშეკრულების განხორციელებისა“, მაგრამ ეს შეთანხმება დაუყოვნებლივ ვერ იქმნა შესრულებული შერეულ კომისიის მიერ არა იმიტომ, რომ ინჟინერ ანდრონიკაშვილს არა ჰქონდა სათანადო რწმუნებანი, არამედ შერეულ კომისიის ორივე მხარის მიერ გამოტანილ დადგენილების გამო, რომელიც აღნიშნულია ოფიციალურ აქტში 22/26 დეკემბრის თარიღით; მას ხელს აწერენ რ. ს. ფ. ს. რ. და საქართველოს რწმუნებულნი და მის ძალით გადაწყვეტილი იყო: „იმ გემების სიები, რომლებიც უნდა იქმნეს რუსეთის რესპუბლიკის განკარგულებაში გადაცემული, წარედგინოს დასამტკიცებლათ საქართველოს და რუსეთის რესპუბლიკის მთავრობებს.

რაც შეეხება თქვენს მითითებას იმაზე, რომ არ ყოფილა საკმაო დაცვა და შენახვა რუსეთის გემებისა, რომლების არ გაშვების შესახებ თქვენ მოგეცათ შესაფერი გარანტია, ამის შესახებ მე უნდა კატეგორიულად განვაცხადო, რომ საქართველოს მთავრობის მიერ თავის დროზე მიღებული იყო ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ადგილი არა ჰქონოდა ზემოთაღნიშნულ გემების გაქცევას და ან წაყვანას. გემ „პრინციპის“ გაქცევას კი, რაშიაც თქვენ ინებეთ დაგენახათ ჩემი მთავრობის მიერ მიცემულ ვალდებულების, რუსეთის გემების არ გაშვების შესახებ. დარღვევა, ადგილი ჰქონდა არა იმის გამო, რომ ჩვენ არ მივიღეთ საკმაო ზომები, არამედ „forse madeure“ (გარდაუვალ დაბრკოლების) ჩარევის გამო, რომლისაგანაც არ შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი არც ერთი ვალდებულება. ამასთანავე საჭიროთა ვთვლი გაცნობოთ თქვენ, რომ ყველა ის გემები, რომლებიც ექვემდებარეობიან 16 დეკემბრის შეთანხმების პირობებს იმ სიით, რომელიც შედგენილი იყო შერეულ კომისიის მიერ, ამა წლის 15 იანვრიდან ცნობილნი არიან რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის განკარგულებაში მყოფებათ და ეს საკითხი ეხლა საბოლოოთ დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს.

13 ნოემბერს საუბრის დროს საქართველოს მთავრობამ განუცხადა რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში მოქ. შეინმანს თანხმობა შეპყრობილ კომუნისტების სიის გადასინჯვის შესახებ. ამ დაპირების განსახორციელებლათ შესდგა თათბირი რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩეველ მოქალაქე სტარკთან ერთად, რომელზედაც მიღწეულ იქნა შეთანხმება. მის ძალით 27 დატუსაღებულ კომუნისტებიდან ერთი (მ. ოკუჯავა) სრულიად გაანთავისუფლეს, 13 კაცი იქნა განთავისუფლებული იმ პირობით, რომ დაუყოვნებლივ დასტოვებდნენ საქართველოს საზღვრებს, დანარჩენებს კი წარედგინათ შესაფერისი ბრალდება. მართალია, ამ თათბირზე მოქ. სტარკმა განაცხადა, რომ მის ცნობების თანახმათ დატუსაღებულთა რიცხვი ბევრათ აღემატება 27 კაცს, მაგრამ ამ ცნობების გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის პირნი, რომლებიც იყვნენ დასახელებულნი მოქ. სტარკის სიაში, დატუსაღებულნი ყოფილან წმინდა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალის დადების გამო, თუმცა მოქ. სტარკმა განაცხადა, რომ ის შეამოწმებს თავის ცნობებს და წარადგენს ახალ სიას, მაგრამ ასეთი აქამდე არ ყოფილა წარმოდგენილი და ჩვენც საკითხს ამოწურულათა ვთვლიდით.

მაგრამ 16 დეკემბერს ჩვენ გავიგეთ, რომ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში არ არის კმაყოფილი ჩვენს მიერ და მის მიერ საამისოთ რწმუნებულ მოქ. სტარკთან ერთად მიღებულ გადაწყვეტილებით, და ამიტომ ხელახლა დავიწყეთ მოლაპარაკება, რის შემდეგ, მიღწეულ შეთანხმების ძალით, დატუსაღებულთა რიცხვიდან სრულიად იქმნა განთავისუფლებული წარმომადგენლობის თანამშრომელი პასხალოვა, არა ლეგალურ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღების გამო დატუსაღებული: მეორე დატუსაღებული კ. გრიგოლი მგალობლიშვილი უნდა გადასახლებული ყოფილიყო რესპუბლიკის ფარგლებიდან, მაგრამ ის აქამდის ვერ წასულა იმის გამო, რომ სრულუფლებიანი წარმომადგენლობა არ აძლევს მას რ. ს. ფ. ს. რ. შესასვლელ საჭირო ნებართვას.

იმავე 16 დეკემბრის შეთანხმების ძალით შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღუთქვა 3 დღის ვადაში კვლავ გადაესინჯა დატუსაღებულთა სიები, მაგრამ ამ საქმის შემდეგი წარმოება, ისევე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შესრულებულ დაპირებისა,—ერთი დღის განმავლობაში სწორი სიის შედგენა საქმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, შეჩერებული იყო იმ გარემოების გამო, რომ ამასთან ერთად ამავე თათბირზე რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის საქართველოში—მოქ. შეინმანის მიერ მოცემული დაპირება, რომ მის ბაქოში ჩასვლის შემდეგ 24 საათის განმავლობაში გაშვებული იქნება ა. ს. ს. რ. ფარგლებში დაკავებული საქართველოს სამარშრუტო მატარებლები ნავთით, აქამდის არ იქმნა შესრულებული.

რაც შეეხება დეკემბრის განმავლობაში—დატუსაღებას, კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების დახურვას და დაბეჭვდას და გაზეთების დახურვის შემთხვევებს, მე საჭიროთა ვსთვლი შემდეგი განვაცხადო: დეკემბრის პირველ რიცხვებიდანვე საქართველოს ფარგლებში იქმნა მოწვეული მთელი რიგი არალეგალურ კრებების კომუნისტების პარტიისა იმ მიზნით, რომ მოეწყოთ საქართველოში შეიარაღებული გამოსვლა. ამ გამოსვლის გეგმის შესამუშავებლათ რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში შესდგა მთელი რიგი არალეგალურ კონფერენციებისა, ამასთანავე, თანახმად სამინისტროს განკარგულებაში მყოფ დოკუმენტალურ ცნობებისა, ასეთი გამოსვლა უნდა მომხდარიყო დეკემბრის შუა რიცხვებში. ყველა ამის გამო, ამ არალეგალურ კრებების და კონფერენციების მონაწილენი დატუსაღებულნი იქმნენ და რადგანაც ისინი უმეტეს შემთხვევაში კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების წევრები აღმოჩნდნენ, ამიტომ ამ კომიტეტებმაც ცხადია, თავისთავად შესწყვიტეს თავისი არსებობა და მათ [illegible] დაბეჭვდას ადგილი არ ჰქონდა. გაზეთების, რედაქციების დახურვა კი მოხდა სასამართლოს განკარგულებით და ამასთანავე რედაქტორები და მათი თანამშრომლები პასუხისგებაში იქმნენ მიცემულნი.

შემდეგ, ვეხები რა თქვენ მიერ აღნიშნულ შემთხვევებს ბათომში „ცენტროსოიუზის“ თანამშრომლების და მეზღვაურების დატუსაღებისას. საჭიროდ ვთვლი გაცნობოთ, რომ განზრახული აღნიშნული გამოსვლის გამო, დატუსაღებული ორი თანამშრომელი „ცენტროსოიუზისა“ უკვე განთავისუფლებულნი არიან, ხოლო დატუსაღებული მეზღვაურები, ამ საკითხის შესახებ მიღწეულ შეთანხმების ძალით უნდა გადასახლებულ იქმნენ რესპუბლიკის ფარგლებიდან, მაგრამ ეს არ ხერხდება, სრულუფლებიან წარმომადგენლობის მიზეზით, რომელიც აქამდის არ აძლევს მათ საჭირო ნებართვებს.

თქვენ მიერ აღნიშნულ რ. ს. ფ. ს. რ. ბათომის კონსულის ცოლის დატუსაღების შემთხვევის გამო, აღმოჩნდა, რომ ჩვენ მიერ დაწვრილებით ცნობების შეკრების შემდეგ, ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია და ეს ცნობები, ალბათ, ყალბ ინფორმაციაზე არის დაფუძნებული.

მე იმედი მაქვს, მოქალაქე სრულუფლებიან წარმომადგენელო, რომ ყოველივე ზევით მოხსენებული გაძლევთ თქვენ სრულ განმარტებას ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც აღძრულია თქვენ მიერ 30 დეკემბრის ნოტაში და უდავოთ ააშკარავებენ ჩემი მთავრობის მოქმედებათა სრულ კანონიერებას. იგი თავის მხრივ კეთილსინდისიერათ და სისწორით ასრულებდა ყველა მის მიერ სხვადასხვა დროს მიღებულ ვალდებულებებს და დაპირებებს და არ დაურღვევია არც ერთი მუხლი 14 ნოემბრის შეთანხმებისა. თქვენს ნოტაში ნაჩვენები მოქმედებანი საქართველოს მთავრობისა, რომლებმაც თითქოს გამოიწვიეს რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მხრივ საქართველოსათვის ნავთეულობის არ მიცემა, თავისთავათ უდავოთ, კანონიერნი არიან და ამასთანავე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუკავშირდნენ და ან ჩაითვალონ 14 ნოემბრის შეთანხმების დამრღვევათ. ამიტომ არაფრით არ გამართლებულ ფაქტს რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მიერ ნავთის მიცემაზე უარის თქმისა, ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხადლივ არა კანონიერ აქტს და მთელი პასუხისმგებლობა ამის გამო ეკისრება რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობებს.

რაც შეეხება თქვენს განცხადებას იმის შესახებ, რომ არც სამარშრუტო მატარებლები და არც ბრიგადები არ ყოფილა დაკავებული, მე უნდა დავადასტურო, რომ ეს სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. მიუხედავათ ჩვენი არა ერთხელ მოთხოვნისა, საქართველოს სამარშრუტო მატარებლები და ბრიგადები 5 დეკემბრიდან დღევანდლამდის დაკავებულნი არიან ა. ს. ს. რ. ტერიტორიაზე. ამას გარდა. სამარშრუტო მატარებლებით სარგებლობენ რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობები თავის საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ხედავს რა ამ ფაქტში საქართველოს ხალხის უფლებათა დარღვევას და მის საარსებო ინტერესების აბუჩათ აგდებას, ჩემმა მთავრობამ, რაკი არ მიიღო არავითარი დაკმაყოფილება მის კანონიერ მოთხოვნილებათა, სცნო თავის თავი იძულებულათ ურთიერთის მიზღვევის პრინციპის ძალით აღეწერა და შეეკვრა რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. ქონება, რომელიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება მანამდის, სანამ საქართველოს ყველა სამარშრუტო მატარებლები და მათი ბრიგადები არ დაუბრუნდება საქართველოს.

მიიღეთ და სხვა...

ქ. ხაბახტარიშვილი.

19 იანვარი 1921 წ.
№ 478.

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის კონფერენცია

19 იანვრის სხდომა

19 იანვარს, ნაშუადღევის 1 ს. ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიხსნა საქ. სოც. დემ. მ. პარტიის კონფერენცია. ამხ. **სილ. ჯიბლაძე** აცხადებს რა კონფერენციას გახსნილად, მიმართავს მას შემდეგი სიტყვით:

„ამხანაგებო, პირველყოვლისა ნება მიბოძეთ მოგიძღვნათ ჩემი გულითადი სალამი. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით კრებას გახსნილად ვაცხადებ. ეს დავალება მეტად საპატიოა, მაგრამ ამავე დროს ჩემთვის მეტად სამძიმოა. გულწრფელათ უნდა ვაღვიარო თქვენს წინაშე, რომ რაღაც არაჩვეულებრივი სულიერი განცდითა ვარ დღეს შეპყრობილი. და ეს, ვფიქრობ, იმიტომ, რომ გარემოება, რომელმაც დღეს აქ ჩვენ თავი მოგვიყარა, არაჩვეულებრივია. ჩემს მოკლე სიტყვაში მე, რასაკვირველია, აქ არ შევეხები ჩვენს ჩვეულებრივ მძიმე და რთულ მდგომარეობას; არას ვიტყვი იმ ორ დიდ საფრთხეზე, რომელთა შუა ჩვენ ვიმყოფებით. როგორც მოგეხსენებათ, ერთი ამ საფრთხეთაგანი შიგნიდან გვემუქრება, მეორე—გარედან, ერთი პურისა და ფულის საკითხია—ამ სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობით, მეორეა საკითხი წითელი ანარქიისა, რომელიც წითელი რკალივით შემოგვრტყმია სამივე მხრიდან და ჩვენი ამდენი მსხვერპლით მოპოვებულ თავისუფლებას და დამოუკიდებელი არსებობის ჩაყლაპვას ლამობს. მაგრამ ეს საფრთხეები, როგორც მოგეხსენებთ, ჩვენთვის არ ახალია,—ჩვეულებრივია. მათ ჩვენ შევეჩვიეთ. მართალია, ისინი რთულდებიან, იზრდებიან და მწვავდებიან, სამაგიეროთ ერთს ადგილზე არც ჩვენ გავყინულვართ,—ჩვენც ვიზრდებით, ვმაგრდებით და ვუმკლავდებით ყველა საფრთხეებსა და დაბრკოლებებს. ამისთვის ამ საფრთხე-დაბრკოლებებზე მე ახლა არ ვფიქრობ და არც ვშიშობ. ამ წუთში ჩემი გონება სულ სხვამხრივ იყურება და სულ სხვა სახისა და გვარის შიში და ფიქრი სტანჯავს და სწამლავს ჩემს უძლურ სულსა და გულს. ეს გახლავთ შიში იმ საშინელი სენისა, რომელიც ამ ბოლო დროს თითქმის მთელი ქვეყნის მუშათა ორგანიზაციებს მოედო და მით დააუძლურა რევოლიუციონური მოძრაობა და ხელი შეუწყო გაძლიერებას როგორც შავი რეაქციისა, ისე წითელი ანარქიისა. ამ სენს ჩვენ კარგათ ვიცნობთ, ამხანაგებო; ჩვენ ვიცით, როგორ შეეპარა იგი 1903 წ. ახალგაზრდა რ. ს. დ. მუშათა პარტიას, როგორ დაანგრია ჯერ ეს პარტია და მერე თვით ეს უზარმაზარი რუსეთის სახელმწიფოც.

ამ ვე სენმა დააუძლურა და დაქსაქსა მუშათა ინტერნაციონალი—ეს ერთგული მოსარჩლე და მოყვარე მუშათა კლასისა, ამავე შინაურმა უთანხმოებამ და განხეთქილებამ დასცა საერთაშორისო დემოკრატიის ბელადი—გერმანიის მუშათა კლასის უძლიერესი ორგანიზაცია, რომელმაც ერთის დაკვრით დაამხო ბჭენი ვილჰელმის მეუფებისა, მაგრამ რომელმაც, შემდეგ ამ დიადი გამარჯვებისა, რეაქციონერთა ბინძურ გვამში გასვრილი თავისი ხმალი, თავისავე მოძმეთა სისხლით შეღება. და თქვენ იცით, ამხანაგებო, ამ ს სამწუხარო შედეგი,—იცით თუ როგორ გაუსხლტა ხელიდან გერმანიის დემოკრატიას მის მიერ მოპოვებული ბატონობა!.

ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს მხოლოდ ჩვენ შევადგენდით. აქამდის მხოლოდ ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი მთლიანი ფრონტი და ჩვენი ძლიერების მთავარი საიდუმლოებაც სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ. მაგრამ... სამწუხაროთ ამ ბოლო დროს ეს ჩვენი ფრონტიც შეირყა. ამ საერთო სენის ჭია ჩვენშიაც გაჩნდა. ამ ჭიის წვრილი, შემპარავი თავი უკვე შეიჭრა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ერთ კუნჭულში—იმ ორგანიზაციის, ამხანაგებო, რომლის მტკიცე და შეურყეველმა მთლიანობამ და ერთსულოვნებამ მოგვიყვანა ჩვენ აქამდე, რომელმაც გვიხსნა მრავალი განსაცდელისაგან, მოგვცა თავისუფლება, შექმნა და დაიცო ჩვენი დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა—ეს ამწვანებული ოაზისი აზიის თვალუწვდენელი უდაბნოისა.

და აი, დღეს, როცა ეს მთლიანობა, ეს ერთსულოვნება განსაკუთრებით გვეჭირვება ჩვენ, როცა ყოველი მხრით ალყა შემორტყმული ვართ, როცა შიგნით ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ერთდებიან და ირაზმებიან ჩვენდა დასანგრევათ და დასარბევათ, როცა საუკეთესო შვილნი ჩვენი რესპუბლიკისა ფრონტიდან შველასა და დახმარებას გვემუდარებიან,—ზოგი ჩვენი გუშინდელი მოყვარენი, ჩვენი პარტიული ოჯახის წევრნი, გამოსულან და ჩვენი ციხე-სიმაგრეების შიგნიდან ნგრევასა და ტეხას ლამობენ.

აქეთკენ—ამ ყველაზე უფრო საშიშარ საფრთხისკენ მივაპყრობ, ამხანაგებო, თქვენ ავტორიტეტულ ყურადღებას, მთელს თქვენ სიფხიზლეს, თქვენს გონიერებასა და გამჭრიახობას! მე არ შევცდები, თუ ვიტყვი: მთელს ჩვენს პლანეტაზე არ არის არც ერთი სახელმწიფო—არც დიდი, არც პატარა, არც ძველი, არც ახალი, რომელიც ჩვენსავით იყოს მტრებით მდიდარი, მოყვრებით კი ასე ღარიბი. მიუხედავათ იმისა, თუ ჩვენ ვივლით ჩვენი ძველი ნაცადი გზით, თუ ჩვენ არ დავიფანტებით და არ დავიქსაქსებით, ჩვენ, ამხანაგებო, იცოდეთ არ დავიღუპებით.

მაშ, გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლის ქურაში გამობრძმედილ მთლიანობასა და ერთობას, გაუმარჯოს ჩვენს უაღრესად დემოკრატიულ რესპუბლიკას! (ტაში).

კონფერენციის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **კარლო ჩხეიძე**, რომელიც იკავებს რა თავმჯდომარის ადგილს, ამბობს: „მადლობას მოგახსენებთ იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ. ძნელია იმას დავუმატო რაიმე, რაც ამხ. ჯიბლაძემ ილაპარაკა, აქ მხოლოდ მე მინდა ხაზი გაუსვა კითხვას, რომელსაც ხშირად ვუყენებ ჩემს თავს. ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ იმაზე ნაკლები, რაც დღეს ვართ, მაგრამ წინეთ გვაკლდა ჩვენ ის, რომ არ ვიყავით ცნობილი ისე, როგორც დღეს. ჩვენ გამოგვაჩინა ქვეყანაზე ჩვენმა მოღვაწეობამ; ჩვენ ყველას გავაცანით თავი, არავის წინაშე არაფერი დაგვიფარავს და თუმცა პირველად ყურადღება არ მოგვაქციეს, მაგრამ შემდეგ [illegible] გვიცნეს და ანგარიში გვიწიეს. ჩვენმა მოღვაწეობამ მოგვცა ის, რომ იმ ჩვენმა უცხოელმა ამხანაგებმაც კი, რომელთაც ბევრი უნახავთ და ბევრიც იციან, აღიარეს, რომ მათაც ჩვენგან ბევრი რამ უნდა ისწავლონ. ეს გარემოება გვავალებს ჩვენ დაფიქრებულ და მიზანშეწონილ მოქმედებას. წინეთ ყოველივე საკითხები შიგნითვე წყდებოდა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარტიის გარეთ გამოსულიყო ის, რაც პარტიაში ხდებოდა, დღეს კი ეს ასე არ არის და რაც შიგ პარტიაში ხდება, ის პარტიის გარეთ გადის. ჩვენი პარტიის პრესტიჟი გვავალებს მეტის-მეტი ფრთხილად ვიყოთ და უნდა ვთქვათ, ვმოქმედებთ კი ჩვენი პრესტიჟის დასაცავად. თქვენს გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა ექნება, ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაზე. შესაძლებელია დღესვე რადიოთ ეცნობოს იმათ, ვინც არჩევს ჩვენს საქმეს. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მდგომარეობა მოითხოვს, რომ საერთაშორისო მდგომარეობას ანგარიში გავუწიოთ.

გისურვებთ კონფერენციას სხვათა შორის ამ მხარისათვისაც მიექციოს ყურადღება. მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ თავის თავს: ჩვენ ვქენით ის, რასაც მოითხოვდა ინტერესები დემოკრატიისა და სოციალიზმისა. (ტაში).

შემდეგ არჩეულ იქნენ პრეზიდიუმის წევრები. თავმჯდომარის ამხანაგებათ ამხ. ს. დევდარიანი და კ. ჟუმბურიძე; მდივნებათ: ამხ. ლ. რუხაძე და ვ. ხუროძე.

შემუშავებულ იქნა რეგლამენტი. მიღებულ და დამტკიცებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) პარტიული დისციპლინა, 2) საკონსტიტუციო საკითხები, 3) მომავალი არჩევნები და 4) მიმდინარე საკითხები.

პარტიული დისციპლინის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. ჟორდანიამ (მოხსენებას ცალკე დავბეჭდავთ).

(შემდეგი იქნება)

სალამი კონფერენციას

ქუთაისი (დეპეშა) ქუთაისის მეოთხე რაიონის სოციალდემოკრატიული მცირე კოლექტივის საზოგადო კრება მოგესალმება და გისურვებს ნაყოფიერ მუშაობას. მასთან მოითხოვს პარტიაში არსებული განხეთქილების ლიკვიდაციას „ახალი სხივის“ დახურვით და დამნაშავე პირების გასამართლებით.

კოლექტივის პრეზიდიუმი.

დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფის სააგენტო)

იანვრის 20.

ფრანგული ცნობები

კომუნისტური რუსეთის ვითარება.

ლიონი. 19 იანვარი ამერიკულ სოციალისტების პარტიის ერთი გამოჩენილი წევრი შვარცი თავის პარტიის დელეგატის სახით დაესწრო მოსკოვის მესამე ინტერნაციონალის კონგრესს. მან „მატენის“ თანამშრომელს განუცხადა: მე წავედი რუსეთში მტკიცეთ დარწმუნებული იმაში, რომ საბჭოთა რეჟიმი ანთავისუფლებს მუშებს და იქიდან დავბრუნდი ანტიბოლშევიკურ სულიერ განწყობილებით. შვარცს, რომელმაც კარგად იცის რუსული ენა, თარჯიმანთა დაუხმარებლათ მოუხდენია ფართო ანკეტა, რომლის შედეგიდანაც იგი დარწმუნდა, რომ რუსეთში არ არსებობს სიტყვის, აზრისა და სარწმუნოების თავისუფლება. ტრიბუნალებში საქმეს არჩევენ უექილოთ და დახურულ კარებში. ყველგან სილატაკე და ავათმყოფობაა. ბოლშევიკებმა შვარცი დააპატიმრეს, რადგანაც მას შეამჩნიეს, რომ იგი კრიტიკულათ უყურებდა საბჭოთა წესწყობილებას. შვარცი საპყრობილეში იჯდა სამი თვის განმავლობაში.

— ყოფილმა დეპუტატმა სოციალისტმა ზევოსმა, გაზ. „ეკლერში“ დაბეჭდა რუსეთში მყოფ ფრანგ კომუნისტ ლეპტის წერილიდან რამდენიმე ამონაწერი. ლეპტი ამბობს: პირველათ მისვლისას ჩემთვის სურდათ ეჩვენებინათ ყველაფერი კარგათ და მიფარავდნენ მდგომარეობის ცუდ მხარეებს. იანბურგში გავლისას მე მივიღე მეტად მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც არ შემიძლია დავივიწყო, ქალაქი მკვდარია, ის გადაქცეულია სამხედრო ბანაკად. ყველგან შიმშილი და გაჭირვებაა. საერთოდ არ არსებობს აზროვნების თავისუფლება და სხვ.

პრემიერთა კონფერენცია.

ლიონი, იანვ. 18. ორშაბათს ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მოკავშირე პრემიერთა კონფერენცია შესდგება იანვრის 24 ს. ლოიდ ჯორჯს ეახლებიან ლორდ კერზონი და სერ ეირ კროუ. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი სფორცა და ბელგიისა ჟასპარი დაესწრებიან კონფერენციას, მაგრამ შესძლებენ თუ არა იტალიისა და ბელგიის პრემიერები კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას, ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

კოლდის კონცესიების შესახებ.

მოსკოვი. რიგის გაზეთი იუწყება: ინგლისის მთავრობამ გერმანიას მისცა ოფიციალური წინადადება ინგლის-გერმანიის ხელშეკრულების დადებისა და საბჭოთა რუსეთთან კომერციულ დამოკიდებულების განახლების შესახებ. წინეთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ფაქტს უარყოფდა, მაგრამ როცა გამოქვეყნდა იგი პრესაში, სამინისტრომ დაადასტურა და დაუმატა, რომ ასეთი წინადადებით ინგლისმა მიმართა გერმანიის სინდიკატს, რაც მთავრობამაც ეცნობა. ვანერლიკმა თავის მხრით განაცხადა შემდეგი: ლონდონში ყოფნის დროს ჩემთან მოდიოდნენ ლონდონის უდიდესი ფირმების წარმომადგენლები. წინადადებებს არ ჰქონდა დასასრული. ზოგიერთნი მთხოვდენ მიმყიდა მათთვის საბჭოთა რუსეთთან დადებული მთელი ხელშეკრულება, ზოგიერთი კი ნაწილის მიყიდვას მთხოვდა. ჩემთან მოვიდა აგრეთვე ლოიდ ჯორჯის მდივანი, რომელმაც მთხოვა მენახა ინგლისის პრემიერ-მინისტრი, მაგრამ მე ისე წავედი, რომ ლოიდ ჯორჯი არ მინახავს. ხელშეკრულება მხოლოდ ამერიკას უნდა ეკუთვნოდეს.

მოსკოვი, 18 იანვ. პეტროგრადიდან ფინეთში გაემგზავრა კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ფინეთის ბაზრის გამორკვევა და პეტროგრადისათვის ფინეთიდან შეშის ჩამოტანის შესაძლებლობა.

მოსკოვი, 19 იანვ. უცხოეთში. ბერლინი. ყოფილ დამფუძნებელ კრების წევრთა კონფერენციამ, რომელიც პარიზში მოხდა, სხვადასხვა აზრებს იწვევს საფრანგეთის გაზეთებში. ფრანგულ პრესას აკვირვებს კონფერენციაზე შეკრებილ წევრთა მცირე-რიცხოვანობა და ეჭვი ეპარება, რომ ამ კონფერენციამ რაიმე რეალური შედეგები მოიტანოს. საერთოთ ამ კონფერენციამ საფრანგეთის საზოგადოებას ამცნო თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ ბოლშევიკებმა ასე ადვილათ შესძლეს ბურჟუაზიულ დროებით მთავრობის დამხობა. ამასთანავე ყოფილ დამფუძნებელ კრების წევრები და მათ შორის ჩერნოვი რიხით ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობის ჩამოგდების შემდეგ ისინი კვლავ აღადგენენ დამფუძნებელ კრებას.

რუსეთი და ლატვია.

რიგა. 16 იანვარი. ლატვიის ელჩი ლეისმანი უარყოფს ხმებს იმის შესახებ, თითქოს რუსეთს აგრესიული მიზნები ჰქონდეს ლატვიის მიმართ.

რუსი ლტოლვილები ბულგარეთში.

ადესა 15 იანვარი. ბულგარეთის მთავრობა მიმართავს სასტიკ ზომებს რუს ლტოლვილთა მიმართ. ექიმებს აკრძალათ პრაქტიკა; ამოწმებენ, ყველა რუს ქალს. რუსებს იჭერენ და სახელმწიფოს შუაგულში აგზავნიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

18 იანვარი.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ

ბერლინი. გერმანულმა პრესამ მიიღო შემდეგი ცნობა: პოდოლის გუბერნიაში გენ. პავლენკოს უკრაინელი ჯარის ნაწილები შეუერთა რუსეთის მე 3 ლაშქარი ნაწილებს—გენ. ბობოშკო'ს მსროლელთა პირველ დივიზიას და გენ. ტრუსოვის ყაზახთა დივიზიას. უკრაინასა და რუსეთის ჯარის ნაწილებს შორის მოხდა სრული შეთანხმება. გენ. პავლენკო ჯარისადმი მიმართულ ბრძანებაში აცხადებს, რომ მოკლე ხანში მოხდა შეერთება და მტკიცე სამხედრო შეკავშირება უკრაინელებსა და რუსებს შორის. ეს გაერთიანებული ლაშქარი უკვე დაიძრა კიევისაკენ.

უცხო კაპიტალი უკრაინაში.

პარიზი. უცხოელებმა და განსაკუთრებით კი ფრანგ კაპიტალისტებმა უკრაინაში შეისყიდეს მრავალი შაქრის ქარხანა. საფრანგეთის მწარმოებლებმა იყიდეს ბელაია ცერკოვში შაქრის 8 ქარხანა, სმილაში არსებული ბობრინსკის შაქრის ქარხნები და სხვ.

პარიზი. „ობშჩეე დელო“ იუწყება: პარიზში შესდგა მემარჯვენე ესერთა კონფერენცია. ამ კონფერენციაზე, რომელიც სავინკოვის შეხედულებებს იზიარებდა, გადასწყვიტეს შეუდგნენ ტერორისტულ მოქმედებებს.

„ჩრეზვიჩაიკა“.

ფრანგულ პრესას მოჰყავს ამონაწერი სრულიად რუსეთის „ჩრეზვიჩაიკის“ თავმჯდომარის დზერჟინსკის მოხსენებიდან. ამ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კონტრრევოლიუციონერთა ჯგუფმა გადასწყვიტა საბჭოთა მთავრობის დამხობა. განზრახული იყო აჯანყების მოწყობა ნაციონალისტურ ნიადაგზე. დზერჟინსკიმ განაცხადა: თავდაცვის კომიტეტი ფხიზლად ადევნებს თვალ ყურს ქალაქებისა და სოფლების ცხოვრებითა სულიერ განწყობილებას. რუსეთში არსებობს მონარქისტების კავშირი, რომელსაც მიზნათ აქვს რუსეთში თვითმპყრობელობის აღდგენა. კავშირი მთელ თავის ყურადღებას აპყრობს გლეხების თავის მხარეზედ მიმხრობას. ცნობები გვაქვს, რომ მონარქისტულ აგიტაციას ეწევიან წითელ არმიის ოფიცერთა შორისა.

კომუნიზმის გავრცელება ბრილიანტებით.

ლონდონი. ბრიტანეთის პოლიციის დირექტორი ოფიციალურად აცხადებს: წარსულ კვირაში ინგლისის კომუნისტებმა რუსეთიდან მიიღეს ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგათ ღირებული ბრილიანტები. რუსეთიდან ინგლისში შემოტანილ ბრილიანტთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ლონდონის ბაზარზე ერთ კარატ ბრილიანტის ფასი 35 სტერლინგიდან 18-მდე ჩამოვიდაო.

მიწის ძვრის მსხვერპლი.

ინგლისური პრესის ცნობით არგენტინაში მომხდარ მიწის ძვრის მსხვერპლთა რიცხვი უდრის 6,000 კაცს. ამ რიცხვში შედიან დახოცილები და დაჭრილები.

ინგლისის მუშათა კლასი და მოსკოვის დესპოტები.

ლონდონი. „ტაიმს ვიკლი“ ბეჭდავს სნოუდენის წერილს ბოლშევიკებისა და სოციალისტების შესახებ. ამ წერილში ნათქვამია: ლონდონში მცხოვრებმა რუსმა სოციალისტებმა ბრიტანეთის მუშათა კლასს მიმართეს პროტესტით, ბოლშევიკების რეპრესიების გამო სოციალისტთა მიმართ. რუსი სოციალისტები სთხოვენ ინგლისელ მუშებს, რომ მათ მიიღონ რაიმე ზომა ბოლშევიკებზე ზედგავლენის მოსახდენათ.

საბჭოთა რუსეთში სოციალისტ რევოლიუციონერები და მენშევიკები, რომელნიც თავს სწირავდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლას და რევოლიუციის მონაპოვართა დაცვას, ამ ჟამად ციხეებში იხოცებიან ან მათ რუსეთიდან აძევებენ იმისათვის, რომ ისინი ბედავენ და კრიტიკას უკეთებენ საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობას. თუ ბრიტანეთის მუშებს მართლა სურთ რუსეთის დახმარება, მათ გავლენა უნდა მოახდინონ მოსკოვის დესპოტებზე და მუშათა სოლიდარობის განსახორციელებლად უნდა აიძულონ ბოლშევიკები, რომ მათ შესწყვიტონ რუს-სოციალისტთა დევნა. საბჭოთა მთავრობასთან ყოველგვარ დამოკიდებულების დამყარების ჟამს პირველ ყოვლისა უნდა მოთხოვნილ იქნეს, რომ რუსეთში არსებობდეს თავისუფლება სიტყვისა და პიროვნების ხელშეუხებლობა. ბოლშევიკებმა იმგვარადვე უნდა უზრუნველყონ რუს მოქალაქეთა თავისუფლება, როგორათაც ისინი უზრუნველყოფენ ამერიკელ კაპიტალისტ—კონცესიონერების თავისუფლებას.

ამერიკა და რუსეთი.

პარიზი. საფრანგეთის მთავრობის შეკითხვაზე რუსეთის საკითხის შესახებ, ამერიკის მთავრობამ განაცხადა: „ამერიკის მთავრობა ერთხელ და საბოლოოთ აცხადებს, რომ იგი წინააღმდეგია საბჭოთა მთავრობის აღიარებისა, რომელიც ეყრდნობა არა ხალხის ნებას, არამედ მხოლოდ ტერორს. ამერიკის ვ წარმოება დახმარებას არ გაუწევს თავის მოქალაქეებს, რომლებიც დამოკიდებულებას დაიკავებენ მოსკოვის მთავრობასთან.

ქემალის მთავარი შტაბი.

პარიზი. „ჟურნალ დე დება“ იუწყება: თანახმად სტამბოლიდან მოსული ცნობებისა ქემალისტების მთავარ შტაბს გადაუწყვეტია, რომ სმირნისა და ბრუსის ფრონტზე მყოფ ჯარის რიცხვი 100.000 კაცამდე აიყვანოს. ჯარების ყველა სარდალს ებრძანა ზემოაღნიშნულ ფრონტებზე გაგზავნონ თავისუფალი რეზერვი და სამხედრო იარაღები საბერძნეთის ჯარის წინააღმდეგ საჩქარო შეტევის დასაწყებათ.

სტამბოლი და ანგორა.

ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა გამოაქვეყნოს მოლაპარაკების გათავებამდე შედეგები ანგორის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისა.

გაფიცვის გამო

ფრანგულ პრესას მოჰყავს მოსკოვის „პრავდიდან“ შემდეგი მონაწერი: რადგანაც ეკატერინოსლავის სალითონო ქარხნის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა და საბოტაჟს ეწეოდნენ, ამიტომ საბჭოთა მთავრობამ გასცა განკარგულება, რომ ქარხანა დაეკავებინა სამხედრო რაზმს: მუშებს ებრძანათ, რომ 48 საათის განმავლობაში შეუდგნენ მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები და მათი ოჯახის წევრები დაპატიმრებული იქნებიან და ჩრდილო რუსეთის საკონცენტრაციო ბანაკში გაიგზავნებიან.

ბოლშევიკების საწინააღმდეგო კავშირი.

სტამბოლი. „ბოსფორი“ იუწყება: კონსტანტინოპოლში შესდგა „კავკასიის კომიტეტი“, რომელშიც შედიან ყაბარდოს, ოსეთის, ინგუშეთის და ჩერქეზების წარმომადგენელნი. კომიტეტის მიზანია შეადგინოს ოსმალეთში მყოფ ჩერქეზ-ემიგრანტების ლაშქარი ჩრდილო-კავკასიაში მყოფ ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველათ. კომიტეტმა ანტანტისა და ქემალისტების მიმართ სრული ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ფიქრობენ, რომ „კავკასიის კომიტეტის“ რაზმები შეუერთდება ყაზახების ორგანიზაციებსა და რაზმებს, რომლებიც ჩრდილო-კავკასიაში ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძვიან. უკრაინის ეროვნულმა კომიტეტმა წინადადება მისცა „კავკასიის კომიტეტს“ ანტიბოლშევიკური კავშირის შეკვრისა.

ახალი ამბები

მუშებისა და მოსამსახურეების ახალი რეგისტრაციის გამო მუშათა მაგიდამ მოახდინა თფილისის წარმოებების და დაწესებულებების გადაჯგუფება. სულ 79 ჯგუფი შესდგა. მუშათა მაგიდა სთხოვს ყველას, ვინც მომარაგების ფონდიდან სარგებლობს სურსათ-სანოვაგით, გაერთიანდეს ახალი ჯგუფების მიხედვით, რომელთა სიები უკვე გამოცხადდა მუშათა მაგიდაში და გამოგზავნონ თითო ჯგუფიდან თითო წარმომადგენელი იანვრის 25, საღამოს 6 საათ. გაერთიანება უნდა მოხდეს თანახმად იმ ჯგუფებისა, რომლებიც მუშათა მაგიდაში არის გამოცხადებული. არავითარი ცვლილება არ იქნება მიღებული. ყოველი მუშა და მოსამსახურე სურსათ-სანოვაგეს მხოლოდ თავის დაწესებულებიდან მიიღებს.

◆ **წარმოებათა რევიზია.** მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება ფინანსთა მინისტრისა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების რევისიის შესახებ, დაადგინა: მისცეს ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრს უფლება იმ წარმოებათა რევიზიისა, რომელთაც მიეცათ სახელმწიფო დახმარება, და აგრეთვე იმ წარმოებათა, რომელთაც თუმცა სახელმწიფო დახმარება არ მიუღიათ, მაგრამ რომლებიც საქმის მდგომარეობის მიხედვით საჭიროებენ რევიზიას. ამასთანავე მთავრობამ დაადგინა დანიშნოს მთავრობის წარმომადგენლები იმ წარმოებებში, რომელთა რევიზიაც უნდა მოხდეს და მთელი ხარჯები ამავე წარმოებებს გააწეროს.

◆ **ალ. ლომთათიძე**, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი, დაბრუნდა დასავლეთ საქართველოდან და შეუდგა მოვალეობის ასრულებას.

◆ **ტრამვაი.** ამ ჟამად ვაგონების შეკეთება სწარმოებს. განზრახულია მომრაობაში 45 ვაგონის გამოშვება.

◆ **შრომის ბირჟამ** მიმართა ქალაქის გამგეობას შუამდგომლობით შრომის ბირჟის ორი განყოფილების გახსნის შესახებ: სოლგურის მახლობლად და ავლაბარში.

◆ **დახმარება ქალაქებსა და კოოპერატივებს.** თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა მისცეს ქალაქთა კავშირსა და კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირს სესხად 15 მილ. მან. ხუთი წლის ვადით $3^1/_2$ %-ით სესხი მათ სამრეწველო თანხიდან უნდა მიეცეს.

◆ **მუშათა მაგიდა** თებერვლის პირველიდან გამოიწერს ორდერებს პურისთვის 4 დღისას ერთად. პურის მიღება ფურნეებში კი ყოველ დღე იქნება შესაძლებელი. მუშათა მაგიდა სთხოვს ახალ ჯგუფების წარმომადგენლებს მოამარაგონ საჭირო თანხა.

◆ **ქალაქთა კავშირში.** მთავრობა დაადგინა მისცეს ნება ქალაქთა კავშირს რესპუბლიკის საზღვრებიდან 25,000 ფუთი თხილის გატანისა ბაჟის გადაუხდელად.

◆ **მუშათა მაგიდა აცხადებს**, რომ უკანასკნელ სიაში დასახელებული იყო ზოგიერთი პირები, რომლებიც თითქოს მომარაგების ფონდიდან ორ ადგილას იღებდნენ პურს. ამათში: 1) გაბრიელ თულაევი პურის რაციონს მხოლოდ სახელმწიფო ბანკიდან იღებდა. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ თულაევის რაციონით სოლქო სასამართლოში სხვა პირები სარგებლობდენ. მიღებულია ზომები ამ პირების აღმოსაჩენათ. 2) ლიხალატოვი ალექსი, რომელიც ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების ძირითად და დამატებით სიებში ირიცხება, პურს მხოლოდ ძირითად სიით იღებდა. იმის გამოსარკვევად, თუ ვინ სარგებლობდა ლიხალატოვის რაციონით დამატებითი სიიდან მიღებულია ზომები.

◆ **ჩაის კულტურა.** მიწად-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში დამუშავდა ცნობები ჩაის კულტურის მდგომარეობის შესახებ. თანახმად ამ ცნობებისა 1918 წლამდე ჩაის გაშენებას სოფლის მცხოვრებლები დიდის ინტერესით ეპყრობოდნენ. უკანასკნელ წლებში ეს ინტერესი პურის მოთხოვნილების გაზრდის გამო მეტად შენელდა. ამ ჟამად ჩაის პლანტაციების სივრცე რესპუბლიკაში შემდეგ ციფრებში იხატება: ბათომის ოლქში ჩაი გაშენებულია 826 დეს. გურიაში და სამეგრელოში 75 დეს. სულ რესპუბლიკაში 900 დეს. მიმდინარე 1921 წლის განმავლობაში მოელიან 500,000 გირვანქა ჩაის შეკრებას, ამრიგად, ყოველ დესეტინაზე შეიკრიბა 544 გირ. გამხმარი ჩაი. ჩაქვის სახელმწიფო მამულში ჩაის კულტურას დაკავებული აქვს 500 დეს., მანდარინის კულტურას 32 დეს. და ბამბუკის ხეებს 30 დეს. ჩაქვის მამულში 1920 წელს შეიკრიბა 200,000 გირვანქა ჩაი, 800,000 ცალი მანდარინი.

◆ **რესპუბლიკის მიწის მზომელთა** ცენტრალური კომიტეტი 23 იანვარს იწვევს პროფესიონალური კავშირის დელეგატების ყრილობას, რომელიც შესდგება სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ქ. № 12) დილის 10 ს. მოწვეულნი არიან ყველა ის დაწესებულებები და პირები, ვისაც ინტერესებს საერთოდ ყრილობა; ყრილობა მოწვეულია უმთავრესად აგრარული რეფორმის საქმეების გამო.

◆ **წარმოდგენა ჯარისათვის** გაიმართა ორშაბათს, იანვრის 17-ს სახელმ. დრამის თეატრში. ითამაშეს „გუშინდელნი“. წარმოდგენის წინ სიტყვა სთქვა რედ. კ. ანდრონიკაშვილმა თეატრის მნიშვნელობაზე და პიესის შინაარსის შესახებ. ჯარის კაცნი ნასიამოვნები დაიშალნენ.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროში.** სამაზრო ერობათა გამგეობებს და თფილისის ქალაქის გამგეობას შემდეგი ცირკულიარი დაეგზავნა: როგორც სამხედრო სამინისტრო იტყობინება, მორიგ გაწვევით მოთხოვნილი პირების თავის დროზე გამოუცხადებლობა აგვიანებს სამხედრო ერთეულების შევსებას, არღვევს მეცადინეობის გეგმას ჯარში და საერთოდ იწვევს დიდ არევ დარევას. გვტყობინებთ რა ამას, კანცელიარია ზემოაღნიშნულ არა-ნორმალურ მოვლენის თავიდან ასაცდენათ გთხოვთ გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა ყველა ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილი გაწვევ სიებში და რომლებსაც წელს უწევს მორიგი გაწვევა, დაუყოვნებლათ გამოცხადდენ მიმღებ პუნქტებზე სათანადო თემისა, კომისარიატისა, სამაზრო ერობისა და ქ. თბილისის გამგეობის მიერ დანიშნულ დროზე, ხოლო, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს გაწვევისათვის დანიშნულ უკანასკნელ დღისა. ამასთან ერთად უნდა გამოეცხადოს მოქალაქეთ, რომ გამოცხადების უკანასკნელი დღე არავითარ შემთხვევაში არ იქნება გადადებული და ის პირნი, რომელნიც არ გამოცხადდებიან დანიშნულ დროისთვის, იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი, თანახმად 1919 წ. 2 აგვისტოს დეკრეტისა.

◆ **შრომის სამინისტრო აცხადებს**, რომ შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობის სახელზე 1920 წლის დეკემბრის 30 თარიღით გადაგზავნილი დახმარების წიგნაკები, რიცხვით 16 №№ 1538 1505, 1474, 1496, 1793, 1794 1524, 1527, 1853, 1852, 1847, 1849, 1850, 2017, 1523 და 1493 დაკარგულია ფოსტაში. მპოვნელს სთხოვენ წიგნაკები გადასცეს ან შორაპნის სამაზრო ერობას ან შრომის სამინისტროს. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნაკები გაუქმებულათ ჩაითვლება.

◆ **ქ. შ. წ. კ. გ. საზ. თფილისის განყოფილების** განახლებული გამგეობა სთხოვს საზოგადოების განყოფილების წევრებს შემოიტანონ საწევრო გადასახადი საზოგადოების მთავარ გამგეობის ბინაზე, ყოფილ თავად-აზნაურობის ქარვასლა, ყოველ დღე (კვირა-უქმეების გარდა) დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე. იქვე შეიძლება ახალი წევრების ჩაწერაც.

◆ **გვთხოვენ დაგბეჭდოთ:** ვაკეში, უნივერსიტეტის წინ, თითქმის ყოველ დღე ქუჩაში დგას ურმები ხარებ გამოშვებული. აქ აჭმევენ თივას ცხენებს, ვირებს, რის გამო უნივერსიტეტის წინ დიდძალი ნაგავი გროვდება. საჭიროა სისუფთავე, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. ჩვენის აზრით უნივერსიტეტის წინ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი მაგარი სასმელებით ვაჭრობა და ამით ბოლო მოეღება აქაურ უსუფთაობას. საჭიროა ამას მიაქციოს ყურადღება ქალაქის თვითმართველობამ.

◆ **ახალი წიგნი.** მთავრიშვილის ამხანაგობამ დაბეჭდა პროფესორ ბროუნოვის ფიზიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელო, მე-5 კლასის კურსი, გადმოთარგმნილი და გადმოკეთებული ქალთა მე-5 გიმნაზიის მასწავლებლის ექ. ყიფშიძის ასულის მიერ.

პარტიული კრებები

მეორე რაიონული კოლექტივი პარასკევს, 21 იანვარს, საღამოს 5 ს. მუშათა აუდიტორიაში (ყოფილი მუშათა ცენტრალური კლუბი პლეხანოვის პრ.) იწვევს ამავე რაიონის პარტიის წევრთა წლიურ საზოგადო კრებას. დღის წესრიგი: 1) მოხსენება ამხ. კარლო ჩხეიძისა 2) კოლექტივის 1920 წლის მუშაობის 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა 4) არჩევნები: კოლექტივის, სარევიზიო კომისიის და თფილისის კომიტეტის წევრებისა. დასწრება ყველა ამხანაგებისა სავალდებულოა. ამხანაგებმა თან უნდა იქონიონ პარტიული წიგნაკები.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მეოთხე რაიონის ს. დ. ქალთა ორგანიზაციის წევრთა კრება.

სალამი დამფუძნებელ კრებას და მთავრობას

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა ნეიტრალურ ზონის მცხოვრებთაგან მიიღო შემდეგი დეპეშა.

— ჩვენ სოფელ გერგერის მცხოვრებლებმა—რუსებმა და სომხებმა და სოფელ გულაკარაკისა და აპარცის მცხოვრებლებმა, მოვისმინეთ რა დამფუძნებელი კრების წევრების კავალიოვის და ჩხეიძის მოხსენებანი, დავადგინეთ მივესალმოთ დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და ვსთხოვოთ მათ მფარველობა. სოფ. კარაკალას, კარაისარისა და სუს ბულახის წარმომადგენლების საერთო ყრილობამ დაადგინა: მიესალმოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და განაცხადოს, რომ ნეიტრალურ ზონის საქართველოსთან შეერთება შეადგენს აღნიშნულ სოფლებში მცხოვრებ მუსულმანების დიდი ხნის ოცნებას.

— სოფელ ნოვოალექსანდროვკას, ჯალალ-ოღლისა და ნიკოლაევსკისა, ურუტისა, ჰაიდარ-ბეკისა, ნოვაია პოკროვსკასა, არმანისა, ვარტოპლასა და კურატანისა რუს და სომეხ მცხოვრებთა საერთო ყრილობამ დაადგინა მიესალმოს დამფუძნებელ კრებას და გამოსთქვას იმედი, რომ მთავრობა მიიღებს ზომებს და გაამაგრებს რესპუბლიკის საზღვრებს.

— სოფ. აკარკასა, ლეჯამისა და ლორის საზოგადოებათა საერთო ყრილობამ დაადგინა მიესალმოს დამფ. კრებას და ხალხის ნდობით აღჭურვილ მთავრობას, ყრილობა იმედოვნებს, რომ მთავრობა მიიღებს ზომებს ხალხის კეთილდღეობის დასაცავად.

— სოფ. ვორონცოვკას მოლაკანთა საერთო კრებამ საპატიო მოხუცთა თანადასწრებით დაადგინა, სთხოვოს კრებაზე მყოფ დამფუძნებელ კრების წევრებს მიესალმონ მათ მაგივრად დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და უსურვონ საქართველოს რესპუბლიკას აყვავება. თავის მხრივ მცხოვრებლები აღუთქვამენ მას სრულ დახმარების აღმოჩენას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

კიდევ აღწერის შესახებ

21 იანვარს უთავდება ვადა თფილისის საარჩევნო აღწერას. როგორც გაზეთებიდან სჩანს, ქალაქის აღწერა არ მიმდინარეობს ისე, როგორც სასურველია, ვინაიდან დიდი გულგრილობა ეტყობა, როგორც მოქალაქეთ, ისე აღმწერლებსაც.

მაგალითისთვის მოვიყვან შემდეგს: გამოცხადდა თუ არა 17-დან მოქალაქეთა აღწერა დაიწყებაო, ამ დღესვე მოვიმზადე პასპორტი და ოჯახის წევრს დაველოდე. ჩემს გარდა ამ სახლში, სადაც აგერ ოთხი წელი ვცხოვრობ, ბინადრობენ სხვადასხვა დარგის მუშებიც. არამც თუ ვინმე აღმწერთაგანი მოსულა ეზოში, მგონი ქუჩაზედაც არავის მათგანს არ გაუვლია. უკვე სამი დღე გათავდა; 19 ში საღამოს 7 საათზე მივედი მე 8-ე კომის. ბიუროში, რომელიც დაკეტილი დამხვდა. ჩემს შეკითხვაზე მეკარემ მიპასუხა—არავინ არის ეხლა, დილის ცხრის ნახევარზე და საღამოს 5-ზე მოდიანო. ასეთ დაუდევრობით და გულცივობით ბევრი მუშის ხმა დაიკარგება, რადგან ჩუღურეთის მიყრუებულ ქუჩებში ბევრი მუშებია გაფანტული და აგრეთვე წვრილი ხელოსნებიც ბევრია აქ და ყველა მათგანს ვერ მოუცლია, რომ ბიუროში განაცხადოს თავის მოქალაქობრივ უფლებაზე, ვინაიდან დილიდან საღამომდის სამუშაოზე ან სხვა თავის საქმეზე იმყოფება, საღამოს კი ბიურო ადრე იკეტება და ეს ერთნაირ უხერხულ მდგომარეობას ჰქმნის მუშებისათვის.

ჩემის აზრით, აუცილებლათ საჭიროა აღწერის ვადის რამდენიმე დღით გაგრძელება და ადგილობრივ ამხანაგებს უნდა დაევალოს მიიღონ ყოველგვარი ღონისძიება, რომ აღწერის სიებში შეტანილ იქნენ ისინი, ვინც გამორჩენილი დარჩა აღმწერლების დაუდევრობით და კონტროლიორების უყურადღებობით.

ბევრმა მოქალაქემ არც კი იცის, თუ რის შესახებ სწარმოებს აღწერა, ვინაიდან გაზეთები ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის და მიყრუებულ კუთხეებში, როგორიც არის მე 8 კომისარიატის ნაწილის ზოგიერთი მოშორებული ქუჩები, არავითარი განცხადება არაა გამოკრული. მარტო გაზეთებში გამოცხადება კი არ კმაროდა.

საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

უ. ჯაში.

სტუდენტთა დღისათვის

მოწოდება.

26 იანვარს ქართველი სტუდენტობა იდღესასწაულებს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების სამი წლის თავს. 26 იანვარი—„სტუდენტთა დღე“,—ერთი დიადი დღეთაგანია ქართველი ერისათვის: ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი ჩვენი მეცნიერების ტაძარს, ქართულ უნივერსიტეტს. სამი წელი სრულდება, რაც არსებობს იგი, ეს აკვანი ჩვენი მეცნიერებისა. დიდია მისი მნიშვნელობა, დიადია მისი დანიშნულება ქართველი ერისათვის. მეცნიერულად აღზრდილი, შემოქმედების ცეცხლით აღგზნებული ქართველი სტუდენტი, ეს სიმბოლოა ჩვენი ერის კულტურულად აყვავებისა. ქართული უნივერსიტეტი ის წმინდა ადგილია, სადაც უნდა აღიზარდოს ასეთი სტუდენტობა. ამიტომაც—დღე მისი დაარსებისა—„სტუდენტთა დღე“ 26 იანვარი,—არის იმავე დროს დღე უაღრესად ეროვნული.

ქართველი სტუდენტობის საკუთარ უნივერსიტეტში არსებობას სამი წლის ისტორია აქვს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არ ჰქონია საშუალება ჩუმი, აკადემიური მუშაობისა, ის დაეწაფა მეცნიერებას, მაგრამ მუდამ ფხიზლად ეჭირა თვალ ყური იმ თავგანწირულ ბრძოლა შემოქმედებისათვის, რომელსაც აწარმოებდა ქართველი ერი. ის ზეიმობდა მშობლიურ ერის ზეიმთან ერთად, მაგრამ მუდამ მზად იყო მტრებთან საბრძოლველად, როცა მის სამშობლოს განადგურებით ემუქრებოდნენ.

სამი წელი გადის: 26 იანვარს ქართული სტუდენტობა მთელს საქართველოში მოაწყობს თავის „ტრადიციულ დღეს“. ამ დღეს ის გააცნობს საზოგადოებას, თუ რისი გაკეთება სურდა მას, რა გააკეთა ან ვერ გააკეთა მან და რა პერსპექტივებს ისახავს ის მომავლისათვის. ამიტომ ქართველი სტუდენტობა მოუწოდებს მთელ ერს, ყველას, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებს და კერძო პირთ, ყველას, ვისაც კი აქვს შეგნება მოქალაქეობრიობისა და დაინტერესებულია ქართველი სტუდენტობით, მიიღოს აქტიური მონაწილეობა „სტუდენტთა დღის“ მოწყობაში, რათა სტუდენტობა დარწმუნდეს, რომ ის განმარტოებული არ არის, არამედ—მასზე გული შესტკივა, მისთვის ზრუნავს და მასთან არის მთელი ერი.

„სტუდენტთა დღის“ მომწყობი კომისია.

რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის მთავარ კომიტეტის 6 წევრის განცხადება

(წერილი რედ. მიმართ)

ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, წევრნი რადიკალ დემოკრატიულ გლეხთა პარტიის მთავარ კომიტეტისა—ამით ვაცხადებთ, რომ ჩვენ არავითარ მონაწილეობას არ ვღებულობთ პოლიტიკურ პარტიათა იმ შეერთებაში, რომელიც ამ ჟამად ხდება ეროვნულ დემოკრატიულისა, ნაციონალისტთა და რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიათა სახით და, რომ ჩვენ გარეშე ვრჩებით ზემოხსენებულ პარტიათა შეერთებისა.

1) **თედო სახოკია** (კომიტეტის თავმჯდომარე),
2) **შიო დედაბრიშვილი**, (შ. არაგვისპირელი),
3) **დუშიკო ფალავანდიშვილი**,
4) **ქრისტეფორე** (ჩიტო) **კაპანაძე** (კომიტ. მდივანი),
5) **დიმიტრი დეკანოზიშვილი**,
6) **დავით ჩიქოვანი** (პარლამენტის რად.-დემოკრატიულ ფრაქციის ხელმძღვანელი).

სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან

სკოლის წინასწარი აღზრდა.

დაწყებით სკოლის ორგანიზაციასთან მჭიდროდ დაკავშირებულია სკოლის წინასწარი აღზრდა, რომელიც ჩვენს მოხსენებაში განზრახ არ იქნა გამოყოფილი: სკოლის წინასწარი აღზრდის ფართო მასშტაბით მოწყობილი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია დიდ ხარჯსა და დროს მოითხოვდა, მეორე მხრით, ვინაიდან ცხადია და ბუნებრივი მისი ორგანიული კავშირი დაწყებით სკოლასთან, ჩვენ (ჩვენი ქვეყნის პირობების მიხედვით) უფრო მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი სკოლასთან დაკავშირება და აი ამიტომაც, (იხ. ქვემოთ სასკოლო რეფორმა), სახალხო სკოლის პირველი წლის კურსი, ჩვენი პროექტით, საბავშვო ბაღის ხასიათს ატარებს, რომელიც ნელის თანდათანობით მერმე სკოლის სახეს ღებულობს

ამ პროექტისათვის ხორცი რომ შეგვესხა, სათანადო ექსპერიმენტისათვის პრაქტიკული ნაბიჯებიც იქნა გადადგმული: ა) ჯერ კიდევ ზაფხულში მოეწყო კურსები იტალიიდან გამოწერილ სპეციალისტ ქალის ხელმძღვანელობით; ბ) თფილისის რამდენიმე სკოლაში მიღება სწარმოებდა აღნიშნულ პრაქტიკის მიხედვით 6 წლიან ბავშვებისა; გ) თფილისშივე გაიხსნა სანიმუშო საბავშვო ბაღი. ამ სახით დაგროვილ დაკვირვებათა და ცდების საშუალებით ჩვენი განახლებული სკოლა, იმედი უნდა ვიქონიოთ დაზღვეული იქნება ისეთის შეცდომებისაგან, რომელიც მთელ სასკოლო სისტემას საგრძნობლად შეაფერხებდა და დიდ ზიანს მოუტანდა.

საშუალო სკოლა.

ამგვარივე პირობებში სწარმოებდა საშუალო სკოლის ორგანიზაციაც.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ მთავრობის მიერ მიღებული სამინისტროს პროექტი ერთიანის სკოლის პრინციპზე აგებულ რეორგანიზაციისა, უკვე გატარდა ცხოვრებაში.

ამიერიდან ადგილი აღარა აქვს აღზრდის ისეთს სისტემას, როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილი იმთავითვე, სწავლის დასაწყისშივე წინდაწინვე განსაზღვრული მიზნებისათვის და სამოქმედო სარბიელისათვის მზადდებოდა: ეგრეთ წოდებული მოსამზადებელი კლასები საშუალო სკოლის უკვე გამოეყო და სახალხო სკოლად გადაიქცა თავისი საკუთარის დამოუკიდებელის პროგრამით. საკუთარისავე პროგრამით გამოეყო საშუალო სკოლას ე. წ. პროგიმნაზიული კლასები და სახალხო სკოლის უშუალო მეორე საფეხურის, უმაღლეს დაწყებითს, შეუერთდა.

ამ რეორგანიზაციასთან და სკოლის თანდათან გაეროვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო სასწავლო გეგმის და პროგრამების სასწრაფოდ გადასინჯვა, დამუშავება და შიგ სათანადო ცვლილების შეტანა. და აქაც, რასაკვირველია, არა ერთ დაბრკოლებასთან გვქონდა საქმე.

უწინარეს ყოვლისა მომზადებულ მასწავლებელთა იგივე უყოლობა, რისთვისაც საჭირო შეიქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთაგან საშუალო სკოლის მასწავლებელთა გამოშვება.

ამ მიზნის განხორციელება სამინისტრომ თფილისის საპედაგოგიო ინსტიტუტს დაავალა, სადაც უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსების 40-ზე მეტი სტუდენტი უკვე ეწევა ინტენსიურ მუშაობას უნივერსიტეტის პროფესორთა და სავანგებოდ მოწვეულ პირთა ხელმძღვანელობით.

აღნიშნულ კატეგორიის სტუდენტებს სამინისტროს მიერ დანიშნული აქვთ სათანადო სტიპენდია და ამასთანავე დავალებული, კურსის დასრულების შემდგომ, იმსახურონ საპედაგოგიო სარბიელზე, თანახმად სამინისტროს დანიშვნისა.

მაგრამ ახალ მასწავლებელთა მომზადებასთან ერთად საჭიროა არსებულთა ერთგვარი გადახალისება, განსაკუთრებით იმ დარგში, რომელთაც საშუალო სკოლის სასწავლო დისციპლინაში ძველად სრულიად არა ჰქონდათ დათმობილი ადგილი, ანდა ნაკლები ყურადღებით ეპყრობოდა. აქედან გამომდინარეობს პერიოდული საზაფხულო კურსების მოწყობის აუცილებლობა, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების დარგში, ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში და სხვ.

თვით სკოლის შინაგანი გარდაქმნა და რეფორმა ხანგრძლივ დროს და განსაზღვრულ საშუალებას მოითხოვს და სამინისტრო კიდევაც ემზადება ამისთვის სათანადოდ, რაზედაც ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

ფიზიკური აღზრდა.

რეორგანიზაციასთან დაკავშირებული იყო სკოლებში ფიზიკური აღზრდის სათანადოდ დაყენება, ამ ჟამად შეგვიძლია გადაჭრით განვაცხადოთ, რომ ამ საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა, დღეს უწყებას აქვს სათანადოდ მოწყობილი აპარატი; თფილისში და ბევრგან პროვინციაში დაარსდა ტანთავარჯიშო საზოგადოებანი, რომელთა ენერგიას უნდა მივაწეროთ საგრძნობი წარმატება ამ საქმეში. დასასრულ ეს საქმე რომ საკმაო ფართო მასშტაბით მოგვარებულიყო, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ტანვარჯიშობის ინსტრუქტორთა სკოლის დაარსება თფილისში, სადაც ამ ჟამად 30-მდე საშუალო განათლებით აღჭურვილი ახალგაზრდა ემზადება მომავალი მასწავლებლობისათვის.

საპროფესიო და ხელოსნური განათლება.

განათლების სამინისტროს კარგად აქვს შეგნებული ის აზრი, რომ სახელმწიფო ცხოვრების სიმტკიცე და ძლიერება დამოკიდებულია მის ტეხნიკურ

მდგომარეობისა და ზრდაზე და რომ მხოლოდ ის ქვეყანაა ეკონომიურად ძლიერი და პოლიტიკურად დამოუკიდებელი, რომელიც ტექნიკურად განვითარებულია და აღჭურვებულია.

ტექნიკის ზრდა და განვითარება კი მარტო ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეზე არაა დამოკიდებული, არამედ უმთავრესად სპეციალურ სწავლა განათლების შესაფერად დამკვიდრებაზე მის სათავეში მცოდნე და მომზადებულ პირთა ჩაყენებაზე.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ სპეციალური სკოლის ორგანიზაცია დიდ თანხასა და მრავალ ტექნიკურ საშუალებას მოითხოვს, რაც დღევანდელს პირობებში, მეტად მძიმე ტვირთად აწვებოდა სახელმწიფოს და მეორეც, არც ტექნიკურად მომზადებული საჭირო მასწავლებელნი და ინსტრუქტორები გვყავს საკმაო.

მაგრამ მიუხედავად ზემო აღნიშნულისა, სამინისტროს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ცხოვრების დღიურებითი მოთხოვნილებისათვის და სატექნიკო განათლებისათვის სათანადო ყურადღება არ მიექცია. საქმე ის არის, რომ ადგილობრივ საერობო და საქალაქო თვითმართველობის აპარატის მოწყობამ და საკუთარი მრეწველობის განვითარების აუცილებლობამ მრავლად მოითხოვა სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რასაც არსებული სახელოსნო სასწავლებელნი, რომელთაგან მხოლოდ პრაქტიკის ხელოსანი გამოდიან, ვერას გზით ვერ დააკმაყოფილებდნენ.

ამ მიზნით სამინისტრომ თფილისის სატექნიკო სასწავლებელი გადააკეთა საშუალო პოლიტექნიკუმად, სადაც ორი განყოფილება არსებობს: სამექანიკო და სამშენებლო. ახლო მომავალში უნდა გაიხსნას ელექტრო ტექნიკური და სამთო-მადნო განყოფილება. გადაკეთებულია საშუალო პოლიტექნიკუმად აგრეთვე ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი. განზრახულია აგრეთვე გადაკეთება ხონისა და ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელთაც.

ზემოხსენებულ ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სამინისტროს განზრახული აქვს მოკლე ვადიანი სამეურნეო, საელექტრო ტექნიკური, საკერამიკო და სხვ. ამგვარი კურსების მოწყობა. აგრეთვე სასწავლო სახელოსნოების დაარსება რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებისათვის.

ეროვნულ უმცირესობათა სკოლა.

თავისთავად ცხადია, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, სათანადო ყურადღებით უნდა მოკიდებოდა ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილებას სწავლა აღზრდის საქმეში და, თანახმად პედაგოგიკის მოთხოვნილებისა, იმათთვის ეროვნული სკოლა უნდა დაეარსებინა.

ამ მხრივ განათლების სამინისტროს მუშაობა აღსანიშნავია: რესპუბლიკის ფარგლებში არ მოიპოება თითქმის არც ერთი ცოტად თუ ბევრად რიცხვით მნიშვნელოვანი ეროვნული ერთეული, რომელსაც საშუალება არ ჰქონდეს მისცეს თავის მოზარდ თაობას პირველდაწყებითი და ზოგან საშუალო ცოდნაც თავის სამშობლო ენაზე, სახელმწიფოს ხარჯით იმ, რასაკვირველია, აუცილებლობის პირობით, თუ აღნიშნული სკოლები მართვა გამგეობისა და სასწავლო გეგმის მხრივ საერთო სახელმწიფოებრივ წესებს ემორჩილებიან.

ამ შემთხვევაში, შეიძლება, ცოტა გამონაკლისი სომხურ სკოლის იმ მცირე ნაწილთათვის იყოს, რომელიც მართვა-გამგეობის მხრივ სომხურ ეროვნულ საბჭოს ექვემდებარება და ამასთანავე, რაც უმთავრესია, სასწავლო გეგმითაც საერთო სახელმწიფო სკოლებს შორდება.

და თუ ამ ნაწილის შესახებაც მოხდა საბჭოსთან შეთანხმება, მაშინ რესპუბლიკის ფარგლებში არ იქნება ეროვნულ უმცირესობის არც ერთი სკოლა, რომ საერთო წესით, სახელმწიფო ხარჯით არ ინახებოდეს.

ამასთანავე, ეროვნულ უმცირესობის სკოლა, რომ მასწავლებლობის მხრივ უზრუნველეყო, ზოგიერთისათვის, სადაც განსაკუთრებით ცხადი იყო მასწავლებელთა სიმცირე, სამინისტრომ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, დაარსა მოკლე-ვადიანი საპედაგოგიო კურსები, მაგ. ბერძნებისათვის, მუსულმანთათვის და სხვ.

საზოგადოდ, თუ რაგვარად კმაყოფილდება ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილებანი სწავლა აღზრდის საქმეში, ამას გვაჩვენებს შემდეგი ცნობები: არსებობს რუსული სკოლა—60, სომხური—81, თათრული—31, ბერძნული—66, ოსური—48, აფხაზური—20 და სხვა.

ერობის ფინანსები

ერობათა კავშირის კომიტეტმა დაამუშავა პროექტი ერობათა ფინანსების კანონის შესახებ. თანახმად პროექტისა ერობათა ფინანსებს შეადგენენ: ა) ერობებზე წარმოებისაგან და მამულებისაგან შემოსავალი, ბ) გადასახადები და 3) ცენტრალური მმართველობის სუბსიდიები და შემთხვევითი შემოსავლები. საერობო თვითმართველობანი ვალდებული არიან მოაწყონ სხვადასხვა წარმოებები. ამას გარდა, ერობებს უფლება აქვთ მოაწყონ სამრეწველო სავაჭრო და სხვა წარმოებანი. სახელმწიფო ხაზინიდან საერობო თვითმართველობებს დახმარება მოეცემა იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ შეუძლებელი იქნება საჭირო გასავლის საერთო ბიუჯეტის საშუალებით დაფარვა. სამაზრო საერობო ყრილობებს უფლება ეძლევათ შემოიღონ სხვადასხვა სახის ბეგარა. მაგალითად, მათ შეუძლიათ შემოიღონ სასარეწაო გადასახადი, საგანგებო გადასახადი უძრავ ქონებაზე და სხვა. სამაზრო თვითმართველობას შეუძლია ისარგებლოს აგრეთვე ნატურალური ბეგარით. საერობო გადასახადი წლიწადში ერთხელ წესდება. ამასთანავე ქაღალდის ფულის კურსის შეცვლასთან ერთად შესაძლებელია საერობო პირობების და მიხედვით შეცვალოს გადასახადის რაოდენობაც. სასარეწაო გადასახადი წესდება ყოველგვარ ვაჭრობაზე და მრეწველობაზე შემოსავლის და მიხედვით: თუ შემოსავალი 250,000 მანეთს უდრის, იმ შემთხვევაში საერობო თვითმართველობას მიაქვს 30 %, თუ შემოსავალი მეტია, იმ შემთხვევაში,— 50 %. სასარეწაო გადასახადი წესდება ყოველგვარ წარმოებაზე სახაზინო, საზოგადო და კერძო წარმოებებზე სახაზინო რკინის გზების გამოკლებით. სასარეწაო გადასახადის მაგივრად სახაზინო რკინის გზები ერობის კაპიტალის სასარგებლოდ ყოველ სამგზავრო ბილეთზე და ბარგის გადატანაზე განსაკუთრებულ პროცენტს იღებენ. თუ მდგომარეობა სასწრაფო ხარჯებს მოითხოვს, ერობას შეუძლია მიმართოს თვითდაბეგვრას, რომლის გატარებაც შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ თემის მცხოვრებთა უმრავლესობა თანხმობას გამოაცხადებს. (სდს)

ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციისაგან

ჟურნალი „ნაკადული" გადადის რესპუბლიკის ერობათა კავშირის ხელში. ჩვენი ჟურნალის რედაქციას ეკუთვნის ამ გადაცემის ინიციატივა. ეს გამოიწვია როგორც იდეურმა მოსაზრებამ, ისე მატერიალურმა მხარემაც.

რედაქცია ფიქრობს, რომ დღეს ასეთი საბავშვო ჟურნალი არ უნდა იყოს კერძო ადამიანის ხელში, არამედ უნდა ჰპატრონობდეს საზოგადო ორგანიზაცია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ხალხთან, და თუ ამდენ ხანს კერძო ადამიანის ხელში იყო, ეს იმიტომ მოხდა რომ ძველი რეჟიმის დროს ჩვენი ეროვნული მწერლობა დევნას განიცდიდა და საბავშვო მწერლობა ქველმოქმედებით ცოცხლობდა. „ნაკადულის" დაარსება და ამ საქმისათვის ხელის შეწყობა იმ დროს იკისრა ჩვენმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ბავშვების მეგობარმა პატივცემულმა ჰ. ი. თუმანიშვილმა; ქველმოქმედ ზუბალაშვილის დახმარებით იმან იტვირთა ის დიდი ხარჯი და ყოველწლიური დეფიციტი, რომელიც ჟურნალს თან სდევდა.

ამ ჟამად კი ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოში საზოგადოებრივი ორგანიზაცია უფრო შესძლებს, ვიდრე კერძო თაოსნობა, საბავშვო ჟურნალის დიდი საქმე მთელი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის საქმედ გადააქციოს; ის დაუკავშირებს ჟურნალს ჩვენი ხალხის ფართე მასას, ისე მოაწყობს საქმეს, რომ ჩვენ მოზარდ თაობას მის გულში აღძრულ ყველა საყურადღებო საკითხზე პასუხი გასცეს.

ცხოვრება ისე გართულდა, იმდენი საკითხი აღიძრა ჩვენი ბავშვების გულში, იმდენი ახალი სულიერი საზრდო უნდა მიაწოდოს ჟურნალმა თავის მკითხველს, რომ უეჭველად საჭიროა ჟურნალის გაფართოვება, შიგ ახალ განყოფილებათა შექმნა, საჭიროა ახალ თანამშრომელთა მოწვევა; რედაქციას კი არ ჰქონდა მატერიალური შეძლება არა თუ გაეფართოვებინა ჟურნალი, არამედ გასძლოლოდა ისე მაინც, როგორც აქამდის უძლებოდა.

ქაღალდის ფასის უსაზღვრო აწევამ დიდი ზარალი მიაყენა რედაქციას. თვითეული წიგნები უჯდებოდა 25—30 მან., მკითხველებს კი აწვდიდა 10 მან. წლის განმავლობაში, ქაღალდის უქონლობისა, სიძვირისა და სხვა დაბრკოლებათა გამო რედაქციამ ვერ შესძლო მკითხველების წინაშე დაპირების შესრულება, მაგრამ მათგან შემოტანილი ფასის მიხედვით რედაქციამ მიაწოდა მკითხველებს იმაზე მეტი წიგნები, ვიდრე ერგებოდათ. ამის ასრულება მხოლოდ სახალხო განათლების სამინისტროს დახმარებით შესძლო რედაქციამ.

ამგვარ პირობებში, ასეთ აუტანელ მდგომარეობაში საბავშვო ჟურნალი ეს დიდი იდეური საქმე უნდა შეჩერებულიყო, სწორედ იმ დროს, როცა ჩვენი მოზარდი თაობა, მომავალში ჩვენი სახელმწიფო წყობილების გასამტკიცებლად მოწოდებული, სულიერ საზრდოს ყველაზე მეტად საჭიროებს. ერობათა კავშირმა დახმარება გაუწია „ნაკადულს" და ჟურნალი მის ხელში გადავიდა. ამასთანავე ერობათა კავშირმა ჟურნალ „ჯეჯილის" პატრონობაც იკისრა და ორივე საბავშვო ჟურნალი შეაერთა.

თავის თავად ცხადია, რომ „ნაკადული" თავის იდეურ სახეს არ შესცვლის. ხანგრძლივმა მუშაობამ შექმნა ერთგვარი ტრადიცია, რომელსაც ერობათა კავშირის ხელშიაც განაგრძობს ჟურნალი. წინანდებურად ჟურნალს მიზნად ექნება ეროვნული განვითარების იდეა საერთო კაცობრიულ კულტურულ ღირებულებათა შეთვისების ნიადაგზე. წინანდებურად „ნაკადული" ეცდება მიაწოდოს მკითხველებს საუკეთესო ნაწარმოებნი მეცნიერო პოპულიარიზაციის და ორიგინალური და თარგმნილი მხატვრული მწერლობის დარგებიდან. რედაქცია ეცდება განამტკიცოს კავშირი თავის მკითხველებთან, მათ მშობლებსა და აღმზრდელებთან.

ერობათა კავშირის ხელში ჟურნალი შესძლებს თავის განყოფილებათა გაფართოებას, ეცდება გააშუქოს ყველა საყურადღებო საკითხები ჩვენი სამშობლოს ცხოვრებიდან ბავშვებისათვის გასაგები ენით, ყოველ ღონეს იხმარის, რომ გამოიწვიოს მოზარდ თაობაში შემოქმედების ენერგია და გზა გაუკვალოს ცხოვრებაში ჩვენი სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ჟურნალი ერობას გადაეცა. ამ ორგანიზაციის სახელი და მოღვაწეობა ცხადად მეტყველებენ, რომ „ნაკადული" საიმედო ხელშია. ამ საქმის შემდეგი განვითარება კი თვით საზოგადოებაზეა დამოკიდებული, იმაზე თუ რამდენად საგულისხმიერო გახდება მშობლებსა და აღმზრდელთათვის მათი ბავშვების სულიერი საზრდოს ძიება და მოპოვება.

ნაკადულის რედაქტ. ნ. ნაკაშიძე.

ს.-დ. პარტიაში

ახალციხე. 9 იანვარს გვარდიის აუდიტორიაში შესდგა საერთო პარტიული კრება. მოისმენილ იქნა მოკლე მოხსენებები—დღევანდელ მდგომარეობაზე; პარტიულ მობილიზაციაზე, ქალაქისა და ერობის ს. დ. ფრაქციის მოღვაწეობაზე, გვარდიის მუშაობაზე. უმეტესად მოხსენებებს ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა. პირველ თემაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ალფა.

პარტიულ მობილიზაციაზე ლაპარაკობს ამხ. კ. ანანიკიანი. ამხ. ვ. თევზაძე აცნობს კრებას ერობის ხმოსანთა ს. დ. ფრაქციის მუშაობას, აღნიშნავს საერთოდ მის ნაკლსა და სიკეთეს.

ამხ. ვ. ხვალაძე ლაპარაკობს ქალაქის საქმეებზე. ამხ. ეგ. ფიჩხულია აცნობს კრებას მესხეთ-ჯავახეთის გვარდიის ისტორიას, აღნიშნავს იმ სიძნელეს, რომელიც წინ ეღობებოდა მის შექმნას და დასძენს: „დღეს ჩვენი ახალგაზრდა რაზმი, როგორც მებრძოლი ერთეული, ძალას წარმოადგენს, და რომ საბედისწერო ჟამმა დაჰკრას, ორგული გაიგონებენ ძველ მეხურ ყიჟინას და იგრძნობენ მის ხმლის სიმძაფრეს". X.

გორი. 12 იანვარს შესდგა სოციალ-დემ. ქალთა კრება. დღიურ წესრიგში იყო: 1) ქალთა ორგანიზაციის დაარსება; 2) ლექციების სისტემა. თავმჯდომარეობს ქ-ნი პარკაძისა, მდივნობს ალ. ვაჩეიშვილი. მოკლე განმარტებას აძლევს კრებას ალ. ვაჩეიშვილი ძველ მუშაობის შესახებ. შემდეგ ლაპარაკობს ა. ქვათაძე. თავმჯდომარის წინადადებით, ვინაიდან ყველა ამხანაგები არ იყვნენ კრებაზე არჩეულ იქნა დროებითი ბიურო ოთხი პირისაგან: ალ. ვაჩეიშვილი, დ. ცხოვრებოვისა, მ. რუხაძისა და ა. ბოჭორიძისა. კრება ადგენს: კრებები ხდებოდეს სამშაბათობით საღამოს 6 ს. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ მ. რუხაძისა, ამხანაგად დ. ცხოვრებოვისა და მდივნად ალ. ვაჩეიშვილისა. ტანჯული ქალი.

მუშათა შორის

მეტყავეთა კავშირში. მეტყავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომებზედ, რომელიც შესდგა ამხ. თოდრიას თავმჯდომარეობით დაადგინა: 1) გამოწერილ იქნას კავშირის საჭიროებისათვის „ერთობა", „ბორბა", „სლოვო" „უმშაკის მათრახი" და „მუშათა ცხოვრება" ორივე ენაზედ. 2) შეძენილ იქნას ჩვენი დიდი მასწავლებლის კარლ კაუცკის სურათი გადიდებული ფორმატით. 3) ვინაიდან კავშირის გამგეობაში თავი იჩინა გულგრილობამ, პრეზიდიუმმა უნდა მიმართოს საჭირო ზომებს, რათა გამგეობის სხდომები სწარმოებდეს რეგულიარულად, ყოველ კვირას, 4) საჭიროდ ალიარებს კავშირი ანგარიშების შედგენას და გამოქვეყნებას ხოლო ამიერიდან კი ყოველთვიური ანგარიშები წარმოდგენილ იქნას გამგეობაში და შემდეგ გამოქვეყნებული მუშათა ორგანოებში, რომლის ასლიც გამოკიდებულ იქნეს კავშირის ბინაზედ: 5) კავშირის საჭიროებისათვის პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია ბუხგალტერის მოწვევა. მუშაობა კავშირში უნდა სწარმოებდეს დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათ. და საღამოს 5 დან 8 ს. პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო მოწვეულ იქნას გამგეობაში სამუშაოდ შემდეგი ამხ. 1) ანნა პრედე, 2) ოსიპოვი, 3) გოგელია და 4) ჩანქელი, რომელთაც გამგეობა დაამტკიცებს.

განიკო.

ქ. ბორჯომი. 3 იანვარს ჩალის წყალზე სახალხო სახლში შესდგა ბორჯომის სახელმწიფო მამულის მუშა-მოსამსახურეთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება. სათანადო მოხსენების მოსმენის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუციები:

1) ვინაიდან ბორჯ. სახელმწიფო მამულის მუშები იღებენ მცირე ჯამაგირს და ფაქტიურად დიდ გაჭირვებას განიცდიან,—კავშირი აუცილებელ საჭიროებათ სცნობს აღძრულ იქნას შუამდგომლობა შრომის სამინისტროს წინაშე ჯამაგირების მომატების შესახებ;

2) პროფესიონალურ უფლებით კურსებზე გაგზავნენ კანდიდატების სიის შედგენა და მათი ჯამაგირებით უზრუნველყოფა უნდა იკისროს კავშირმა, ვინაიდან მამულის სამმართველო კრებებზე გაგზავნილ მუშებს არ აძლევს ჯამაგირს.

3) დაუყონებლივ ეცნობოს შრომის სამინისტროს და სატარიფო პალატის მუშათა პროფესიონალურ კავშირის დელეგატთა დადგენილება ჯამაგირების მომატების შესახებ. კურსებზე გასაგზავნ მსმენელების ჯამაგირებით და ხარჯით უზრუნველყოფა მიანდო კრებამ კავშირის გამგეობას, ილია.

პროვინცია

ჯავახეთი. 10 დეკემბერს შესდგა ახალ ქალაქის სამაზრო ერობის ხმოსანთა მესამე ყრილობა. ყრილობის მსჯელობის საგანი იყო მომავალ წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, რაც ყრილობამ დაამტკიცა: არჩეულ იქნა გამგეობის მეოთხე წევრად მასწ. ვ. მიქელაძე. ყრილობამ დაავალა გამგეობას იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე გრძელ ვადიანი სესხის აღების შესახებ. ვინაიდან მაზრა მოუწყობელია,—ამიტომ ერობას სჭირდება დიდი თანხა თავის მოქმედების და დახმარების გასაფართოვებლად. ამასთანავე სახეში მისაღებია ის გარემოება, რომ გამგეობა შეუდგა სხვადასხვა გვარ წარმოების მოწყობას. ბიღო ხერხის ქარხანა, ელექტრონის წისქვილი, ტყავეულობის და საპნის წარმოება. ყველა ზემოხსენებულ დარგების ასამუშავებლად ნედლი მასალა ბევრია მაზრაში; ასე რომ საჭიროა მხოლოდ საწარმოო და მოსაწყობი თანხა. საერთოდ ერობამ ამ მცირე ხანში რაც კი შეიძლებოდა მოაწყო და მოაწესრიგა. ხალხიც დიდის ნდობით უყურებს მას და მომავალში ერობა უნდა ეცადოს—გააფართოოს თავისი მუშაობა, თმოგველი.

ხაშური. მუშათა და საერთოდ ღარიბთა ოჯახებში ტიფმა ფართო ხასიათი მიიღო. საექიმო დახმარება სუსტია. ყველაზე უფრო მოისუსტებს აქაური რკინის გზის საექიმო პუნქტი. წამალი ხშირად არ იშოვება და რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები მეტ წილად ყიდულობენ წამლებს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ასეთ მდგომარეობას.

— იანვრის პირველ რიცხვებში სურამში ვინმე კაპანაძემ როგორც შემოსავლის კვალობაზე გადასახადების გადამხდელმა ინსპექტორმა მოიწვია შორეული სოფლებიდან ე. ი. 25—30 ვერსის მანძილიდან სოფლის ამორჩეული კაცები და მათი დაკითხვით აწერდა გადასახადებს. გლეხები დიდი უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ, რომ ძველი რეჟიმის დროსაც არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ასეთი საქმისათვის ამ სიშორეზე მოეყვანოს ისინი ვინმეს; ახლა ხომ, მადლობა ღმერთს, არის თემები და რატომ თემებში არ მოდისო, ამბობდნენ გლეხები. ცხადია როცა კაპანაძე თემებს გვერდს უხვევს, ამით ის უკმაყოფილებას იწვევს ხალხში.

— სურამის გამომძიებელი ქუთათელაძე მოქალაქეების დაბარების დროს უდიერად იპყრობა. ხშირი შემთხვევებია, რომ რომელიმე მოქალაქის უპრალო დაკითხვის დროს სწერს უწყებაში: „ესა და ეს პიროვნება წარმომიდგინეთ მილიციის ქვეშ და სხ."

— უკანასკნელ ხანებში ქურდ-ბაცაცები ძალიან გამრავლდნენ. მოხდა რამდენიმე ოჯახის გაქურდვა. მათ შორის, გაქურდეს სოც. დემ. მუშ. პარტიის კომიტეტის ბიურო. წაიღეს სამი „პალატკა". მილიცია მოიკოჭლებს.

— ხაშურის რაიონის ზოგ კუთხეებში მღვდლებმა (ზოგიერთებმა) წამოაყენეს თავი და ხალხში უკუღმართი ლაპარაკი დაიწყეს, ეუბნებიან: მთავრობას უნდა რომ ხალხს სარწმუნოებაზე ხელი აალებინოს, ჩამოაშოროს ეკლესია სახელმწიფოს; რაც ეკლესიაში ნივთებია, ისიც მან უნდა მიისაკუთროს და სხვა, მაგრამ მათ „ქადაგებას" რა თქმა უნდა, ხალხში გასავალი არ აქვს.

ძველი.

გორის ფონდისთვის

ხარკოვის კოლონიის საერთო კრებამ, რომელიც შესდგა 18 მაისს, მოისმინა რა კონსულის კ. ს. ცაგარლის მოხსენება გორის მიწის ძვრის შესახებ ერთხმად დაადგინა, რომ გაიმართოს ხელისმოწერა ხარკოვის კოლონიის წევრთა შორის დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად. დადგენილების სისრულეში მოსაყვანად კრებამ აირჩია მოქალაქენი: ი. გაბუნია, ვ. ჩიქოვანი, რ. ბორომშვილი და ფ. ხოფერია. შემოსწირეს: ცაგარელი კ. ს. 1000 მ., ცაგარელი გ. ს. 500 მ., დარციმელი არტ. 2.000 მ., კუპრაშვილი ვ. 2,000 მან., რუხაძე ს. 5,000 მ., არუთინოვი ა. ი. 5,000 მან., მეცხვარიშვილი გ. ზ. 5,000 მ., მეცხვარიშვილი ი. ზ. 5,000 მ., ჩიქოვანი ვ. ს. 5,000 მ., პერტენავა ე. 2,000 მან., ერქომაიშვილი ი. ლ. 2,000 მ., ივანეზოვი დ. 1000 მ., მაჩაიძე ლ. 1000 მ., კარაპეტოვი ა. 1000 მ., სვანიძე ი. ზ. 1000 მ., მეტრეველი ვ. პ. 1000 მ., ლევიძე მ. 1000 მან., პეიშვილი ვ. დ. 5,000 მან., ჯინჭარაძე ქ. ა. 2,000 მ., ზეინობაშვილი 1000 მ., მაისურაძე ზ. ს. 3,000 მ., ქამალოვი ს. ო. 1000 მან., სარალიძე გ. 3,000 მ., კომელაძე ი. ზ. 500 მ., ბეგლაროვი ა. 500 მ., აჯიაშვილი ა. 1000 მან., ნეფარიძე ხ. 2,000 მან., ჩომახიძე ლ. ს. 6,000 მან., ცხოვრებაშვილი ნ. 2,000 მ., ყუფარაძე გ. 500 მ., ნასყიდაშვილი ა. 1000 მ., გამგონეიშვილი ო. 1000 მ., ბაზაძე ი. 2,000 მ., შალამბერიძე ვ. 2,000 მ., ანთიძე ს. 2,000 მ., ბაზაძე ვ. 500 მან., ფხაკაძე ე. 500 მ., ფხაკაძე მ 500 მ., ხალავოვი ზ. 500 მ., არაქელოვი ა. 500 მ., პეტრიაშვილი ი. მ. 2 000 მ., ცომაია ლ. 500 მ., მაჩაიძე მ. 2,000 მ., ჩაჩაშვილები ძმები 5000 მ., პეჰანაძე ს. 1000 მან., შალამბერიძეები ძმები 1000 მ, გაბუნია დ. 2,000 მან., კირვალიძე ს. 2,000 მ., შალამბერიძე დ. 3,000 მ., კუკავაძე მ 500 მ, სულაკაძე პ. 3,000 მ., პოლოლოვი ო. 500 მ., ტალახაძე ვ. 1000 მან., კუბლაშვილი ს. 1000 მ, ფხაკაძე მ. 1000 მ., შალამბერიძე ნ ა. 3,000 მან., ბალანჩივაძე ა. 2,000 მ., თვალაძე პ 1000 მ., მაისურაძე ვ. ი. 200 მ., მესხეჯისერი ი. 500 მან., ტრაფიმოვა ე. ნ. 500 მ., ახვლედიანი ვ. ს. 500 მ., ფავლენიშვილი ი. ვ. 500 მ., მაისურაძე ს. თ. 2 000 მან., გაგრიძე ა. ა. 3 000 მან., ფხაკაძე გ. მ. 2,000 მ., გამყრელიძე ქ. ეფ. 500 მან., თათარიშვილი ს. ს. 1000 მ., კანდინოვი ა. ს. 500 მ. ჯამი საბჭოთა მთავრობის ფულით 121,200 მ.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ი. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (ვერიოჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (11 თებ.)

კბილის ექიმი
ე. ს. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914" და „606" შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავადმყოფობანი ავადმყოფების მიღება დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (7 თებ.)

ექიმი ა. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 ს. [illegible] ქ. № 23. (13 თებ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
სავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141 პროლექტორ „აპოლოს" მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლი ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—იანვ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ელიზბაროვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—თებ.)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 12—1 ს დილ. 5—6 საღ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 22—თებ.

ექიმი
ა. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავადმყოფებისათვის დილის 8—12 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით (შამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. სალომ. გუნიის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს ტელეფონი 18—95. (7 თებ.

ქ. ზ. ზართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29—თებ.)

ექიმი
ბ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიიღება ყოველ დღე 9—12 ს და საღამოს 6—8 საათამდე.
28 იანვ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნევრასთენია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიიღება დილით 10 12 ნაშ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 16—თებერ.

სჩოტჩიკი
იყიდება 220 ვ. × 3 ა.—ერთ პოლიუსიანი; 110 ვ. × 5., 110 ვ. × 10 ა., 110 ვ. × 20 ა.—ორ პოლიუსიანები მუდმივი ტოკით; 110 ვ. × 5 ა.—ცვალებადი ტოკით.
მისამართი: ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა, შესავალი პუშკინის ქუჩიდან, ტეხ. მაღაზია მარდიევისა; ნახვა 9—4 საათ. (214—2—2)

წინდების საქსოვი მანქანა
მრგვალი, 120 ნემს., სალი სათადარიგო ნაწილებით იყიდება 70.000 მანეთად. ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა, შესავალი პუშკინის ქუჩიდან, ტეხნ. მაღაზია მარდიევისა; ნახვა 9—4 საათ. (214—2—2)

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ა/წ. 20 იანვრიდან დაიწყება კავშირის ბავშვთა თავშესაფარში ომში დაღუპულ მეომართა უმწეოთ დარჩენილ ობლების
მიღება.
წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. არა ქართველთათვის ქვეშევრდომობის მოწმობა (ქალაქის თვითმართველობათა მიერ გაცემული); 2. მისაღებ ბავშვის მამის ნამსახურების სია, ან მოწმობა მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისა მისი სამსახურის შესახებ; 3. სიღარიბის მოწმობა (გაცემული ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ. თემებში კი, თემის გამგეობის მთელი შემადგენლობის მიერ ხელმოწერილი) და 4. მისაღებ ბავშვთა მეტრიკული ამოწერილობა. შუამდგომლობა აღძრულ უნდა იქნას მთხოვნელის საცხოვრებელ ადგილის მიხედვით ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ (ქალაქის, ან მაზრის ერობის მიერ). თავშესაფარში მიიღებიან ობლები ორივე სქესისა 6-დან 10 წლამდე. თავისუფალია 30 ადგილი. აღზრდა-პატრონობას კავშირი კისრულობს 16 წლის შესრულებამდე.
გამგეობა. (ნ. 7—2)

განათლების სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
ქართული
ბუხჰალტერიის კურსები
ტ. მ. ფილოფიანისა
მოთავსებულია მიხეილის პროსპ., № 24. ნახვა შეიძლება დილის 10—12 ს. და საღ. 4—6 საათ. (20—5—5)

[illegible]